დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ტუკვაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

1. თამთა კვარაცხელია-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. ციცინო მექოშვილი- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. ციალა ჩიტია-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
4. თეა მამულია-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. ქეთევან პარუნაშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6. მაია სიხარულიძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7. ია სეხნიაშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8. მარინე ახალაია-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9. გიორგი ბერიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10. ნათია კოხოძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ფოთის N15 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	215113188

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ფოთი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის N18
საფოსტო ინდექსი	4400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სსიპ - ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	poti15@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577770626

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 10 თებერვლის - MES 8 26 0000200715 ბრძანების საფუძველზე
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	01 და 02 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ. №16 (ერთი შენობა)
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ. №16 (ერთი შენობა)
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ. №16 (ერთი შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის - MES 8 26 0000200715 ბრძანების საფუძველზე, სსიპ-ქალაქ ფოთის N 15 საჯარო სკოლაში 2026 წლის 01 და 02 აპრილს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალები. რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას. მასალების შესწავლის შემდეგ ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით, ჯგუფის სხვა წევრებმა კი დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Google Meet) გამოყენებით.
ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლესს სკოლის ინფრასტრუქტურა მათ შორის კომპიუტერული კლასი , სპორტული ინფრასტრუქტურა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის განკუთვნილი ოთახი, ინკლუზიური გარემო, სკოლის პერსონალის პირადი საქმეები. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიურების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის პროცესებთან მიმართებით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში და ვიზიტის შემდეგ მოახდინა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების რევიზია. ესქსპერტთა ჯგუფის შეფასების შედეგები აისახა წარმოდგენილ დასკვნის პროექტში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
----------	----------	----------

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს, განსაკუთრებული ყურადღება მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიმართულებით. სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა კლუბი თუ წრე: დებატების კლუბი, ლიტერატურული კლუბი, ეკო კლუბი, მხარეთმცოდნეობის კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან შექმნილია კლუბი ,,ჩვენი სკოლისთვის", რომელსაც აქვს თავისი გვერდი სოციალურ მედიაში და განათავსებს კლუბის მიერ ჩატარებულ აქტივობებს.
სკოლაში განხორციელებულია სხვადასხვა პროექტი და ღონისძიება, მაგალითად.
პროექტი „შევისწავლოთ მშობლიური მხარე სამეგრელო"
პროექტი „ფინანსური განათლება"
პროექტი „Voice 404"
პროექტი „რა არის გმირობა,ვინ არიან გმირები"
პროექტი „შავი ზღვა ჩვენი პასუხისმგებლობა"
სკოლას ხელშეკრულება აქვს დადებული სსიპ- ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლასთან და მემორანდუმის საფუძველზე მოქმედებს საშაბათო სკოლა, რომლის საქმიანობის ფარგლებში მოსწავლეები გაღრმავებულად სწავლობენ ტექნიკურ საგნებს. სკოლა აქტიურად მუშაობს ტექნიკური და ტექნოლოგიური საგნების გაძლიერებაზე. სკოლაში შექმნილი სტემ კლუბი მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას შექმნან რეალური პროდუქტები და განივითარონ თანამედროვე სამყაროში ინტეგრაციისთვის საჭირო უნარები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება

	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 650	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N. **1.1.1.3**..	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 1 სექტემბრამდე, უზრუნველყოს მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების საკმარისი და რელევანტური მტკიცებულებების წარმოდგენა.
*ინდიკატორი N***1.1.1.4**	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 1 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის გაზიარების სანდო და საკმარისი მტკიცებულებების წარმოდგენა
*ინდიკატორი N***1.2.1.2**	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს დ მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 1 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის დამტკიცება უფლებამოსილი პირის მიერ.
*ინდიკატორი N***1.2.1.3**	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება უფლებამოსილი პირის მიერ.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული ყველა პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა.
ინდიკატორი	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

N 3.1.2.4	მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	ვადებში, 2026 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს კვალიფიციური ფიზიკური აღზრდა და სპორტის მასწავლებლის აყვანა დაწყებით საფეხურზე.
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.	სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს: 1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან (2026 წლის 15 სექტემბერი) 2. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება (2027 წლის 1 აპრილი)
ინდიკატორი N.3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები დ მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლ პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ.ანგარიში	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს ვებგერდზე განთავსებული სკოლის პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებში ჩაამატოს პროგრამებზე მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამატება და აიტვირთოს სკოლის რელევანტური დოკუმენტები

	სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2027 წლის 1მარტამდე, სკოლაში საბუნებისმეტყველო ლაბორატიის ფუნქციონირება.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (დაწყებით საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	
ინდიკატორი N.2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 1 სექტემბრამდე კვალიფიციური ფიზიკური აღზრდა და სპორტის მასწავლებლის აყვა დაწყებით საფეხრურზე.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი	სასურველია, მეტი თვალსაჩინოებისთვის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული მისია, ხედვა, ღირებულებები დაიბეჭდოს ცალკე ბანერზე გამოკვეთილი გამოსახულებით.
3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შინაგანაწესიდან ძალადაკარგული რეგულაციების ამოღება/ჩანაცვლება. კერძოდ, მუხლი.5 საკლასო ჟურნალებით სარგებლობის და შენახვაზე პასუხისმგებელი პირები; მუხლი 16.შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო;
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.	სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში; სკოლის პერიმეტრის მცირე მონაკვეთის ღობე, რომელიც საზიაროა კერძო პირთან, სასურველია იყოს მეტი სიმაღლის.
3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	მიზანშეწონილია პირადი საქმეები ინახებოდეს დაკეტილ კარადებში.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	სასურველია სკოლამ ასახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამები. აგრეთვე, სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურის კლასების ყველა დამრიგებელმა ასახოს თავიანთ სადამრიგებლო პროგრამებში გარკვეული აქტივობები პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის კათედრაზე განისაზღვროს კურიკულუმების ერთგვაროვანი ფორმატი და სტრუქტურა. **უცხოური ენები:** სასურველია ცნებები მიეთითოს ყველა თემის ფარგლებში. ასევე, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავება ხდება თემის ფარგლებში.
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი:** სასურველია, რომ ბუნებისმეტყველების IV კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემები, სამიზნე ცნებები და

		ქვეცნებები გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. სასურველია, ქართული ენის საგანში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება და დაკონკრეტდეს ქვეცნებები. **სახელმწიფო ენა:** დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებზე მუშაობისას , სასურველია, მასწავლებლებმა გაითვალისწინონ საბაზო და საშუალო საფეხურის კოლეგათა გამოცდილება და კურიკულუმები შეავსონ ისეთი დავალებებით, რომელთა შესრულებისას ყველა ცნება დამუშავდება. **უცხოური ენები:** სასურველია კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავება ხდება თემის ფარგლებში.
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია სკოლამ კიდევ მეტად მრავალფეროვანი რესურსი შესთავაზოს მოსწავლეებს, როგორც წყაროები, ასევე ფილმები, პრეზენტაციები და სხვა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი დამატებითი რესურსია შემოთავაზებული. ასევე საჭროა, მეტად კონკრეტული ინფორმაცია წარმოადგინონ კურიკულუმში რესურსის შესახებ. ეს იქნება კონკრეტული ბმული, ფილმის სახელწოდება თუ სხვა. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი**

		სასურველია, კათედრამ ყველა საგნობრივ კურიკულუმში ერთნაირად უზრუნველყოს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და შეიმუშაოს მათი მითითების საერთო წესი . **ესთეტიკური აღზრდა** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ხშირ შემთხვევაში რესურსებში მითითებულია მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელო და ავტორი. კარგი იქნება, რომ ყველა თემისთვის განისაზღვროს კონკრეტული რესურსი (სახელმძღვანელოს შემთხვევაში გაკვეთილის სათაური ან/და გვერდი, დამატებითი რესურსის შემთხვევაში დასახელება/ავტორი/ლინკი და ა.შ.). **სახელმწიფო ენა:** სასურველია, ყურადღებით შეივსოს სასწავლო კურიკულუმები და ყოველ მათგანში რესურსებად მიეთითოს ის გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომლებიც კათედრამ შეარჩია წლის დასაწყისში.
ინდიკატორი 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, დიფერენცირებულ მიდგომებს უფრო აქტიურად მიმართოს სკოლამ. მოსწავლეებს მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება როგორც დავალების

		ფორმატის, ასევე შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილში. აღნიშნული მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოავლინონ ინდივიდუალური შესაძლებლობები, ასევე გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი:** სასურველია, თუ დაწყებითის კათედრა კურიკულუმებში შეიტანს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით შემუშავებულ აქტივობებს.
ინდიკატორი 2.1.2	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი:** სასურველია დაწყებითი კლასების კათედრამ შეიმუშაოს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები. სასურველია, თუ კათედრა შეიმუშავებს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტს.
ინდიკატორი 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი:** სასურველია მოეწყოს მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანმიმდევრულობასა

		და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას.
ინდიკატორი 2.2.1.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა... ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი. **სახელმწიფო ენა:** სკოლაში არსებობს კონკრეტული შემოქმედებითი დავალებებისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელ შეფასების ფორმების შექმნის საუკეთესო პრაქტიკა, სასურველია, ამ პრაქტიკის გათვალისწინებით, ყველა სამუშაო ფასდებოდეს არა ზოგადი, არამედ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკებით.
ინდიკატორი 2.2.1.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, დიფერენცირებულ მიდგომებს უფრო აქტიურად მიმართოს სკოლამ. მოსწავლეებს მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება როგორც დავალების ფორმატის, ასევე შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილში. აღნიშნული მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოავლინონ ინდივიდუალური შესაძლებლობები, ასევ

		გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას.
ინდიკატორი 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, რესურსების შერჩევისას სკოლამ გაითვალისწინოს ცალკეული მოსწავლის ინდივიდუალური სპეციფიკა და მეტად მრავალფეროვან დამატებითი მასალა შესთავაზოს მათ. სხვადასხვა თემების განხილვისას შეიძლება კიდევ მეტი ციფრული თუ სხვა მატერიალური რესურსის შეთავაზება, რაც სწავლის პროცესს მეტად საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი** სასურველია, კურიკულუმებს დაამატონ რესურსები და გადმოგზავნილ დოკუმენტში გაასწორონ ტექნიკური ხარვეზი ძირითად და დამხმარე რესურსების ჩამონათვალთან დაკავშირებით მათემატიკასა და ქართულში. **ესთეტიკური აღზრდა:** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ხშირ შემთხვევაში რესურსებში მითითებულია მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელო და ავტორი. კარგი იქნება, რომ აისახოს ის დამხმარე ელექტრონული რესურსები, რაც რეალურად გამოიყენება

		სახელმწიფო ენა: სასურველია, კურიკულუმების ჩარჩოს სათანადო ველში იყოს მითითებული საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები და არა ცალკე დოკუმენტის სახით, ამასთანავე, კურიკულუმებში მინიშნებული ძირითადი სახელმძღვანელოები ემთხვეოდეს ჩამონათვალში დასახელებულ სასწავლო რესურსებს.
ინდიკატორი 2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, სკოლას შემუშავებული ჰქონდეს დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი, სადაც კონკრეტულად განისაზღვრება ვის მიერ და როგორ უნდა განხორციელდეს დამხმარე რესურსების ვალიდაცია. **სახელმწიფო ენა:** კურიკულუმებში მინიშნებული ძირითადი სახელმძღვანელოები, სასურველია, ემთხვეოდეს კათედრის მიერ წარმოდგენილ ჩამონათვალში დასახელებულ სასწავლო რესურსებს.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის	*რჩევა*

	კურიკულუმი)	
ინდიკატორი 2.1.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**უცხოური ენები:** სასურველია ცნებები მიეთითოს ყველა თემის ფარგლებში. ასევე, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავება ხდება თემის ფარგლებში.
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია სკოლამ კიდევ მეტად მრავალფეროვანი რესურსი შესთავაზოს მოსწავლეებს, როგორც წყაროები, ასევე ფილმები, პრეზენტაციები და სხვა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი დამატებითი რესურსია შემოთავაზებული. ასევე საჭროა, მეტად კონკრეტული ინფორმაცია წარმოადგინონ კურიკულუმში რესურსის შესახებ. ეს იქნება კონკრეტული ბმული, ფილმის სახელწოდება თუ სხვა. **ესთეტიკური აღზრდა** საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ხშირ შემთხვევაში რესურსებში მითითებულია მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელო და ავტორი. კარგი იქნება, რომ ყველა თემისთვის განისაზღვროს კონკრეტული რესურსი (სახელმძღვანელოს შემთხვევაში გაკვეთილის სათაური ან/და გვერდი, დამატებითი რესურსის შემთხვევაში დასახელება/ავტორი/ლინკი და ა.შ.). **სახელმწიფო ენა:**

		სასურველია, ყურადღებით შეივსოს სასწავლო კურიკულუმები და ყოველ მათგანში რესურსებად მიეთითოს ის გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომლებიც კათედრამ შეარჩია წლის დასაწყისში.
ინდიკატორი 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, დიფერენცირებულ მიდგომებს უფრო აქტიურად მიმართოს სკოლამ. მოსწავლეებს მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება როგორც დავალების ფორმატის, ასევე შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილში. აღნიშნული მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოავლინონ ინდივიდუალური შესაძლებლობები, ასევე გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.
ინდიკატორი 2.2.1.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება,

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	მოსწავლეთა შეფასება და სხვა... ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი. **სახელმწიფო ენა:** სკოლაში არსებობს კონკრეტული შემოქმედებითი დავალებებისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელ შეფასების ფორმების შექმნის საუკეთესო პრაქტიკა, სასურველია, ამ პრაქტიკის გათვალისწინებით, ყველა სამუშაო ფასდებოდეს არა ზოგადი, არამედ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკებით.
ინდიკატორი 2.2.1.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, დიფერენცირებულ მიდგომებს უფრო აქტიურად მიმართოს სკოლამ. მოსწავლეებს მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება როგორც დავალების ფორმატის, ასევე შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილში. აღნიშნული მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოავლინონ ინდივიდუალური შესაძლებლობები, ასევ გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას.
ინდიკატორი 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, რესურსების შერჩევისას სკოლამ

	სასწავლო პროცესში	გაითვალისწინოს ცალკეული მოსწავლის ინდივიდუალური სპეციფიკა და მეტად მრავალფეროვან დამატებითი მასალა შესთავაზოს მათ. სხვადასხვა თემების განხილვისას შეიძლება კიდევ მეტი ციფრული თუ სხვა მატერიალური რესურსის შეთავაზება, რაც სწავლის პროცესს მეტად საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის. **ესთეტიკური აღზრდა:** საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ხშირ შემთხვევაში რესურსებში მითითებულია მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელო და ავტორი. კარგი იქნება, რომ აისახოს ის დამხმარე ელექტრონული რესურსები, რაც რეალურად გამოიყენება **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კურიკულუმების ჩარჩოს სათანადო ველში იყოს მითითებული საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები და არა ცალკე დოკუმენტის სახით, ამასთანავე, კურიკულუმებში მინიშნებული ძირითადი სახელმძღვანელოები ემთხვეოდეს ჩამონათვალში დასახელებულ სასწავლო რესურსებს.

ინდიკატორი 2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, სკოლას შემუშავებული ჰქონდეს დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი, სადაც კონკრეტულად განისაზღვრება ვის მიერ და როგორ უნდა განხორციელდეს დამხმარე რესურსების ვალიდაცია. **სახელმწიფო ენა:** კურიკულუმებში მინიშნებული ძირითადი სახელმძღვანელოები, სასურველია, ემთხვეოდეს კათედრის მიერ წარმოდგენილ ჩამონათვალში დასახელებულ სასწავლო რესურსებს.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**უცხოური ენები:** სასურველია ცნებები მიეთითოს ყველა თემის ფარგლებში. ასევე, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავება ხდება თემის ფარგლებში.
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია სკოლამ კიდევ მეტად მრავალფეროვანი რესურსი შესთავაზოს

	რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	მოსწავლეებს, როგორც წყაროები, ასევე ფილმები, პრეზენტაციები და სხვა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი დამატებითი რესურსია შემოთავაზებული. ასევე საჭროა, მეტად კონკრეტული ინფორმაცია წარმოადგინონ კურიკულუმში რესურსის შესახებ. ეს იქნება კონკრეტული ბმული, ფილმის სახელწოდება თუ სხვა. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, ყურადღებით შეივსოს სასწავლო კურიკულუმები და ყოველ მათგანში რესურსებად მიეთითოს ის გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომლებიც კათედრამ შეარჩია წლის დასაწყისში.
ინდიკატორი 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, დიფერენცირებულ მიდგომებს უფრო აქტიურად მიმართოს სკოლამ. მოსწავლეებს მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება როგორც დავალების ფორმატის, ასევე შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილში. აღნიშნული მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოავლინონ ინდივიდუალური შესაძლებლობები, ასევე გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი

	პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.
ინდიკატორი 2.2.1.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა... შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი. **სახელმწიფო ენა:** სკოლაში არსებობს კონკრეტული შემოქმედებითი დავალებებისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელ შეფასების ფორმების შექმნის საუკეთესო პრაქტიკა, სასურველია, ამ პრაქტიკის გათვალისწინებით, ყველა სამუშაო ფასდებოდეს არა ზოგადი, არამედ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკებით.
ინდიკატორი 2.2.1.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, დიფერენცირებულ მიდგომებს უფრო აქტიურად მიმართოს სკოლამ. მოსწავლეებს მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება როგორც დავალების ფორმატის, ასევე შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილში. აღნიშნული მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად

		გამოავლინონ ინდივიდუალური შესაძლებლობები, ასევ გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას.
ინდიკატორი 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, რესურსების შერჩევისას სკოლამ გაითვალისწინოს ცალკეული მოსწავლის ინდივიდუალური სპეციფიკა და მეტად მრავალფეროვან დამატებითი მასალა შესთავაზოს მათ. სხვადასხვა თემის განხილვისას შეიძლება კიდევ მეტი ციფრული თუ სხვა მატერიალური რესურსის შეთავაზება, რაც სწავლის პროცესს მეტად საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კურიკულუმების ჩარჩოს სათანადო ველში იყოს მითითებული საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები და არა ცალკე დოკუმენტის სახით, ამასთანავე, კურიკულუმებში მინიშნებული ძირითადი სახელმძღვანელოები ემთხვეოდეს ჩამონათვალში დასახელებულ სასწავლო რესურსებს.
ინდიკატორი 2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, სკოლას შემუშავებული ჰქონდეს დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი, სადაც კონკრეტულად

		განისაზღვრება ვის მიერ და როგორ უნდა განხორციელდეს დამხმარე რესურსების ვალიდაცია. **სახელმწიფო ენა:** კურიკულუმებში მინიშნებული ძირითადი სახელმძღვანელოები, სასურველია, ემთხვეოდეს კათედრის მიერ წარმოდგენილ ჩამონათვალში დასახელებულ სასწავლო რესურსებს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებული პოზიციას, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. სესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეიცვალა 1.1.1.3; 1.1.1.4 ; 1.2.1.2; 1.2.1.3; 3.1.2.3, 3.1.2.4; 3.4.1.1 2.2.2.3; 2.2.2.4 და 3.6.3.5 ინდიკატორების შეფასება და გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

3.1.2.3 ხარვეზის ნაწილი სკოლამ გამოასწორა რაც ეხებოდა კანონმდებლობით გათვალიწინებული ცნობების წარმოდგენას. კერძოდ,,,უფლების ჩამორთმევის“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“.

არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა შემდეგი მტკიცებულებები:

1. საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმების წერილი- MES 3260000432434; 15/04/2026

2. წერილი MES 2 25 0001836816; 25/12/2025-შენობის -ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით
3. სპორტის მასწავლებლის ვაკანსიის გამოცხადების მტკიცებულება
4. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გადაცემის შესახებ ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სსიპ ქალაქ ფოთის N15 საჯარო სკოლის მისიაა- ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში ხარისხიანი განათლებისა და ტექნიკური საგნების გაძლიერებული სწავლების მხარდაჭერით აღვზარდოთ კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეები.

სკოლის ხედვაა- უახლოესი ათწლეულების განმავლობაში სსიპ ქალაქ ფოთის N15 საჯარო სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და უნარებით, რასაც მივაღწევთ ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით. კურსდამთავრებულები შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც თავს დაიმკვიდრებენ შრომის ბაზარზე, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით.

მისიით გაცხადებული სკოლის ძირითადი პრიორიტეტები: ტექნიკური საგნების გაძლიერებული სწავლება, ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეები მიიღებენ ხარისხიან განათლებას და ჩამოყალიბდებია კონკურენტუნარიან, გლობალურ და ეროვნული ღირებულებების დამცველ მოქალაქეებად, ეხმიანება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რამდენადაც სკოლის ფილოსოფიით დეკლარირებული მიზნები უზურნველყოფს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარითა და აკადემიური ცოდნით აღჭურვილი, წიგნიერი, პროგრესულ სიახლეთა მიმღები, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებული, მთელი ცხოვრების განმავლობაში საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტად განმავითარებელი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე მოქალაქის აღზრდას. მისიით გაცხადებული მიზნების მიღწევას სკოლა გეგმავს უახლოეს ათწლეულში ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდების სინთეზით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს დაეუფლონ 21-ე საუკუნის კომპეტენციებს და უნარებს შრომის ბაზარზე თავის

დასამკვიდრებლად, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით. სკოლას სამუშაო პრინციპები ჩამოყალიბებული აქვს ღირებულებების სახით, რომლებიც არის შემდეგი: თანამშრომლობა; გუნდურობა; გამჭირვალობა; დემოკრატია; ობიექტურობა; განვითარება და ინოვაციურობა.

სკოლის მისია და ხედვა დეკლარირებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით და სასკოლო სასწავლო გეგმით.

ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

მისიით და ხედვით გაცხადებული მიზნების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში, სადაც მოსწავლეები დაეუფლებიან 21-ე საუკუნის კომპეტენციებს და ჩამოყალიბდნენ კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეებად. ამისთვის სკოლაში არსებობს, ორგანიზაციული სტრუქტურა, შიდა სასკოლო დოკუმენტაცია და ინკლუზიური გარემო. სკოლის ერთწლიან და სტრატეგიულ გეგმებში გაწერილი სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და აქტივობები მიმართულია სკოლის გაცხადებული მიზნების განხორციელებისკენ. სასკოლო კურიკულუმით, სადამრიგებლო პროგრამით, კლასის საათით და არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები ემსახურება მოზარდის პიროვნულ განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ შემუშავებული ფილოსოფიით სკოლას განსაზღვრული აქვს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებაში.

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

დასკვნის პროექტის მიხედვით, სსიპ ქალაქ ფოთის N 15 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N 2- 191 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-4 თავი განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. მეთოდოლოგიური დოკუმენტი ასევე აღწერს ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართვის ფორმას და განხორციელების ეტაპებს. სკოლის მიერ წარმოდენილ მასალებში გვხვდება სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N 2-190 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც ეხება სტრატეგიული გეგმის შემუშავებას და არა ჩანს მისია, ხედვა, ღირებულებებზე მუშაობის მიმართულებები, ხოლო წარმოდგენილი ფოტომასალა სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესს ასახავს. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავება წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპს, ხოლო წარმოდგენილი მასალები(სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და ფოტო მასალა) ასახავს სტატეგიული დაგეგმის მეორე ეტაპს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებზე მუშაობის პროცესს. ადგილზე ვიზიტის დროს, დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N 2-190 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფთან ინტერვიუთი დადგინდა შემდეგი, სკოლამ მისია, ხედვა, ღირებულებები შეიმუშავა 2024 წელს, რომელზეც, როგორც აღნიშნეს მუშაობდა იგივე ჯგუფი, თუმცა მეთოდოლოგიის შესაბამისად არ არის წარმოდგენილი

სამუშაო ჯგუფის შექმნისა და შესრულებული სამუშაოს ამსახველი მტკიცებულებები (ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ და სამუშაო ჯგუფის ოქმები). სამუშაო ჯგუფის წევრებთან ინტერვიუთი ირკვევა რომ, სკოლის მთავარი პრორიტეტი, ტექნიკური საგნების გაძლიერებული სწავლება უკავშირდება სკოლის ისტორიას, რამდენადაც ფოთის მე-15 საჯარო სკოლა, არის სკოლა „ბალავარის“ სამართალმემკვიდრე, რომელიც ახორციელებდა დაწყებით-საბაზო საფეხურებზე სწვლებას და გაძლიერებული ჰქონდა კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა. მასწავლებლების სურვილი შესაბამისად აღნიშნული მიმართულება გახდა სკოლის პრიორიტეტი და მთავარი გზავნილი სასკოლო საზოგადოებისთვის და თემისთვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლამ მეთოდოლოგიის შესაბამისად ვერ წარმოადგინა მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების საკმარისი მტკიცებულებები. კერძოდ, მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2026 წლის 1 სექტემბრამდე და დაგეგმილ აქტივობებს (შექმნის რელევანტურ სამუშაო ჯგუფის ბრძანებასა და ოქმებს,რომელშიც საუბარი იქნება მისია, ხედვა და ღირებულებებზე).ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება.**

ინდიკატორი 1.1.1.3. მეტწილად დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

დასკვნის პროექტის მიხედვით, მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-12 მუხლი განსაზღვრავს გაზიარების მექანიზმებს. კერძოდ, სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების პროექტების გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოებასთან. ელექტრონული ფოსტის ან/და ღია შეხვედრის და საჯარო სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს სხდომის ან/და სკოლის ვებგვერდის ან/და სოციალური გვერდის საშუალებით.

მოსწავლეებთან და სკოლის პერსონალთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლის ფილოსოფია მათთვის ცნობილია და იციან სად არის განთავსებული. სკოლის ფილოსოფიის მასწავლებლებათან გაზიარებით, მსჯელობით და საბოლოო შეჯერების შედეგად მისიის მთავარი გზავნილი გახდა ტექნიკური საგნების გაძლიერებული სწავლის მიმართულება. თუმაცა სკოლამ ვერ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის გაზიარების სანდო და საკმარისი მტკიცებულებები. კერძოდ, შეხვედრების ჩანაწერები ან/და სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს სხდომის ოქმები, რაც დაადასტურებს გაზიარების პროცესის მიმდიანრეობას. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2026 წლის 1 სექტემბრამდე და დაგეგმილ აქტივობებს(შეიმუშავებს მისია, ხედვა ღირებულებების მშობლებთან გაზიარების სანდო მტკიცებულებებს) ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება.**

ინდიკატორი 1.1.1.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით სკოლის ფილოსოფია განთავსებულია სკოლის ვებგვერზე და სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე. **სასურველია,**

მეტი თვალსაჩინოებისთვის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული მისია, ხედვა, ღირებულებები დაიბეჭდოს ცალკე ბანერზე გამოკვეთილი გამოსახულებით.

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სკოლის წესდების" მიხედვით, სკოლის სახელწოდება, სსიპ -ქალაქ ფოთის N 15 საჯარო სკოლა, სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- სკოლის მისია, ხედვა , ღირებულებები
- სსიპ-ფოთის N 15 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N 2-191 ბრძანებით დამტკიცებული- მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სკოლის ვებ- გვერდი:სსიპ - ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლა
- გადასახდელის გადამხდელის მოწმობა

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლამ წარმოადგინა სსიპ-ფოთის N 15 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N 2-191 ბრძანებით დამტკიცებული მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიური დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ძირითად მიდგომებს, მათ შორის სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. მეთოდოლოგიური დოკუმენტი აღწერს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების ეტაპებს: ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება და სკოლის დირექტორისათვის წარდგენა, სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის პროექტების გაზიარება, მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება, სკოლის დირექტორის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა, სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მეთოდოლოგიური დოკუმენტი ასახავს იმ ძირითად მიდგომებსა და პროცედურებს, რომლებზეც დაფუძნებით უნდა განხორციელდეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალიწინებით.

ინდიკატორი1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

დასკვნის პროექტის თანახმად, სკოლას ვებგვერდზე გამოქვეყნებული აქვს 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 11 თებერვლის 2-42 ბრძანებით, რაც ეწინააღმდეგება საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულ რეგულაციებს. აღნიშნულის მიხედვით, სტრატეგიული გეგმა მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ.

სკოლა, სტრატეგიულ გეგმას შეიმუშავებს ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, რაც მიუთითებს მის ციკლურობას. წარმოდგენილი მასალებით, სტრატეგიული გეგმის პროექტი შეიმუშავა დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N 2-190 ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, ბრძანების მიხედვით სამუშაო ჯგუფმა სტრატეგიული გეგმა დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს, თუმცა სტარტეგიული გეგმა დაამტკიცა სკოლის დირექტორმა.

სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს: შესავალს, მისია, ხედვა, ღირებულებებს, გარემოს სიტუაციური SWOT ანალიზს და 7 სტრატეგიულ მიზანს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და განსაზღვრავს გზას, როგორ უზრუნველყოს სკოლამ სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება არსებული მატერიალური და ადამინური რესურსების ეფექტური გამოყენებით, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს შექმნით და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიწლიანი ციკლური, ეფუძნება მისია, ხედვა, ღირებულებეს, თუმცა არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ. არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2026 წლის 1 სექტემბრამდე და დაგეგმილ აქტივობებს (სკოლას ექნება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიულ გეგმა).ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება.

ინდიკატორი 1.2.1.2 მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

დასკვნის პროექტში ნათქვამი იყო, რომ მისია, ხედვა ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა. მასში ასახულია სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტული ნაბიჯები რა, როგორ და რა ვადაში უნდა გაკეთდეს აღნიშნული ატქივობები. მეთოდოლოგიური დოკუმენტით სამოქმედო გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო.

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. (2025 წლის 11 თებერვლის ბრ.2-42) სკოლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული 7 სტრატეგიული მიზანი და შესაბამისი ამოცანები. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია თებერვალში არაუფლებამოსილი პირის მიერ. სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები მოიცავს პერიოდს სექტემბრიდან- აგვისტოს ჩათვლით და არ ჩანს დაგეგმილი აქტივობები თებერვლიდან სექტემბრის ჩათვლით ან მითითება სამოქმედო გეგმის 2025 წლის სექტემბრიდან ამოქმედების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინა შეიძლება ითქვას, სამოქმედო გეგმა არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2026 წლის 1 სექტემბრამდე და დაგეგმილ აქტივობებს (სკოლას ექნება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სამოქმედო გეგმა).ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება.**

ინდიკატორი 1.2.1.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, აქტივობების შესრულების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს/მტკიცებულებებს და რესურსებს.
სამოქმედო გეგმაში მოცემულია სკოლის სტრატეგიულ გეგმაში მოცემული ყველა სტრატეგიული მიზანი და მათი შესრულებისთვის საჭირო რესურსები, ვადები, რომლებიც ერთი წლის პერიოდითაა განსაზღვრული და შესაბამისი რესურსები.

ინდიკატორი1.2.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-ფოთის N 15 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N 2-191 ბრძანებით დამტკიცებული მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- სსიპ-ფოთის N 15 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 თებერვლის 2-42 ბრძანებით დამტკიცებული, 2025-2032 წლის სტრატეგიული გეგმა
- სსიპ-ფოთის N 15 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 თებერვლის 2-42 ბრძანებით დამტკიცებული, 2025-2026 წლის სტრატეგიული გეგმა
- სსიპ-ფოთის N 15 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის ბრ.N 2-190 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის მე-10 მუხლით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების მონიტორინგის და შეფასების საკითხები. კერძოდ, განსაზღვრულია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის და შეფასების განხორციელების პერიოდულობა, პროცესის განმახორციელებელი ორგანო და მონაცემთა შეგროვების მეთოდი. სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება წელიწადში ერთჯერ-ივნისში. ხოლო სტარტეგიული გეგმის მოქმედების პერიოდის შუაში და ბოლოს. მონიტორინგის და შეფასების პროცესს ახორციელებს სამუშაო ჯგუფი. მონაცემთა შეგროვებისას გამოიყენება ანგარიშების წარდგენის მეთოდი. სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის პროცესის შემდეგ განხორციელდება შეფასება. შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დაამუშავებს და ამზადებს შესრულების ანგარიშს სამეურვეო საბჭოზე განსახილველად და შესათანხმებლად.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. კერძოდ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამუშო ჯგუფი. მონიტორინგისთვის სკოლა გამოიყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავმჯდომარე დეტალურად გადის სამოქმედო გეგმას და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. შეხვედრას აოქმებს სამუშაო ჯგუფის მდივანი. ასევე ის უზრუნველყოფს წერილობითი ანგარიშებისა და მტკიცებულებების შეგროვებას. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. სამუშაო ჯგუფი ამზადებს შუალედურ ანგარიშს და წარადგენს დირექტორთან, რომელიც მიღებულ ინფორმაციას შესათანხმებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასების პროცესის დრო სკოლისთვის ჯერ არ დამდგარა. თუმცა შემუშავებული მეთოდოლოგიით, სადაც გაწერილია სტრატეგიული/სამოქმეო გეგმების მონიტორინგის და შეფასების განხორციელების მექანიზმები სკოლა აცხადებს მზაობას პროცესები განხორციელდება მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გასაჯაროვების მექანიზმებს.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების პროცესი არ განხორციელებულა, შესაბამისად მონიტორინგის და შეფასების შედეგებიც ვერ იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი, თუმცა სკოლას აქვს მზაობა მეთოდოლოგიის შესაბამისად გაასაჯაროოს შესრულების შედეგები ვებგვერდზე გამოქვეყნებით. ასევე ვებგვერდზე არსებობს ველი სადაც განთავსდება სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების ანგარიშები.

ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, სკოლა შეადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც მოხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. SWOT ანალიზის საფუძველზე განხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა იღებს ვალდებულებას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-ფოთის N 15 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N 2-191 ბრძანებით დამტკიცებული მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- სკოლის ვებ- გვერდი:სსიპ - ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულებამ საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა წარმოადგინა გრაფიკული სახით. შემუშავებულია თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, და საშტატო განრიგი. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სკოლის დირექციას, სამეურვეო საბჭოს, მშობელთა კომიტეტი, პედაგოგიური საბჭოს, 8 საგნობრივ კათედრას, მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინური კომიტეტის, ხარისხის განვითარების ჯგუფს, სკოლის ადმინისტრაციას დაყოფილია საშტატო და შტატგარეშე პოზიციებად. . სკოლის საშტატო განრიგი ადგენს საგანმანათლებო პროცესისთვის საჭირო პოზიციაზე დასაქმებულ პირთა რაოდენობას. საშტატო განრიგით სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერ და მასწავლებლები, ხოლო შტატგარეშედ დასაქმებულია: სკოლის ექიმი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, დამლაგებელი-5, დარაჯი-3 და ცეცხლფარეში. სკოლის სტრექტურული ერთეულების და პოზიციაზე დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია სკოლის დირექტორის ბრ. N2-202-ით დამტკიცებული ,,სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებში“ და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში. სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

გრაფიკული სახით წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურიდან ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს ანგარიშვალდებულების სისტემა, განსაზღვრულია, ვინ ვის ექვემდებარება და ვის წინაშეა უშუალოდ ანგარიშვალდებული. სკოლის თანამდებობრივი

ინსტრუქციებით, სტრუქტურული ერთეულების დებულებებით და პერსონალთან გაფორმებული შრომით ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფუნქციური განაწილება ქმნის მკაფიო პასუხისმგებლობის სისტემას, ფარავს სკოლაში მიმდინარე ყველა საგანმანათლებლო საქმიანობას, არ მოიაზრებს ფუნქციურ დუბლირებას და უზრუნველყოფს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ეფექტიან თანამშრომლობას. იმ შემთხვევაში თუ პოზიციაზე დასაქმებულია რამდენიმე პირი და მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები ერთნაირია (დამლაგებელი-5; დარაჯი-3) გამიჯნულია შესასრულებელის სამუშაოს საგანი. (სამუშაო გადანაწილებულია სართულები მიხედვით)

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით რეგულირდება პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების საკითხები. თანამშრომელთა შეფასებით დგინდება დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ხარისხის ამაღლებას.

სკოლას ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტებში გაწერილი მექანიზმები უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების პერიოდულ შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელებას სკოლის სტრუქტურაში, რაც უზრუნველყოფს განვითარდეს სწავლა-სწავლების პროცესის ხელშემწყობი ფაქტორები.

სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გაწერილი კონკრეტული მიზნების, ამოცანების და აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი სტრუქტურები/პირები. მათზე დაკისრებული ფუნქციები დაკავებული პოზიციების შესაბამისია. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს ხელშეკრულების გაცნობის ფაქტს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის სტრუქტურა, საშტატო განრიგი, მკაფიოდ გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები, პერსონალის მართვის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, სკოლის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები იძლევა საშუალებას დავადგინოთ, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის გრაფიკული სტრუქტურა-ორგანოგრამა
- სსიპ - ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლის საშტატო ნუსხა
- სსიპ - ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლის დირეტორის ბრ N2-202-ით დამტკიცებული - სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები

- სსიპ-ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლის დირეტორის ბრ N2-210-ით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
- სსიპ-ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლის დირეტორის ბრ N2-196-ით დამტკიცებული ხარისხის მართვის პოლიტიკა
- თანამშრომელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება
- პედაგოგიური საბჭოს დებულება
- კათედრის დებულება
- მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება
- 2025-2032 წწ.სტრატეგიული გეგმა
- 2025-2026 წ.სამოქმედო გეგმა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც აღწერს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს, სტრატეგიას, ამოცანებს, პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, დანიშვნის წესებს, ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის საკითხებს, პერსონალის შეფასების, პროფესიული განვითარების, მოტივაციის, წახალისების და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესებს.

პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. სკოლის შინაგანაწესის შესწავლით დგინდება, რომ შინაგანაწესი საჭიროებს გადახედვას, რამდენადაც მასში ფიქსირდება ძალადაკარგული რეგულაციები . კერძოდ, მუხლი.5 საკლასო ჟურნალებით სარგებლობის და შენახვაზე პასუხისმგებელი პირები; მუხლი 16.შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო.

სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომით ხელშეკრულებები, რომელებიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის გათვალსიწინებით. პედაგოგების შერჩევის მიზნით ვაკანსიის გამოცხადება ხდება, საქართველოს განათლების,

მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილი მოთხოვნების გათვალიწინებით. სკოლაში დასაქმებულია სქემით განსაზღვრული სტატუსის მასწავლებლები. სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით დასტურდება, რომ სკოლას დადგენილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის წესები და პირობები. პროცესები ხორციელდება მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისად.

რჩევა:სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შინაგანაწესის გადახედვა, რამდენადაც მასში ფიქსირდება ძალადაკარგული რეგულაციები. კერძოდ, მუხლი.5 საკლასო ჟურნალებით სარგებლობის და შენახვაზე პასუხისმგებელი პირები; მუხლი 16.შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. კერძოდ, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია გააანალიზებს თუ რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრი მომდევნო სასწავლო წლიდან და საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ გამოაცხადებს კონკურსს იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს შეუფერხებლად. მტკიცებულებად წარმოდგენილია ვაკანსიის მასალები (საკონკურსოკომისიის შექმნის ბრძანება, ღია კონკურსის კომისიის სხდომის ოქმები).

სასწავლო პროცესის შეუფერხებელი განხორციელებისთვის ხშირად საჭირო ხდება მყისიერი, ინტერვენციული ზომების მიღება. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი, სადაც გაწერილია სამსახურში არ გამოცხადების შემთხვევაში შეტყობინების ვადები. ამ რეგულაციით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის მყისიერი ზომების მიღებას. მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში ჩაანაცვლოს შესაბამისი კათედრის მასწავლებლით.

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს კადრების მოზიდვის და შერჩევს საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულია მხოლოდ მასწავლებლის დასაქმების რეგულაციებიც. გაწერილი რეგულაციები კანონმდებლობის შესაბამისია და ითვალისწინებს ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს. წარმოდგენილია მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დოკუმენტაცია. სადაც ჩანს, რომ ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი გამჭირვალეობის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს. რაც შეეხება სხვა პერსონალის შერჩევის საკითხებს, რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლაში სხვა თანამშრომლის მიღება ხდება გასაუბრებით. ასევე დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია კონკრეტულ პოზიციაზე გამოცხადდეს კონკურსი.

კანონმდებლობით გათვალიწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გარდა, სკოლას განსაზღვრული აქვს მხოლოდ დირექტორის მოადგილის და ბუღალტრის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ბუღალტერს არ აქვს შესაბამისი კომპეტენცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა ვერ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას, რამდენადაც არ არის განსაზღვრული ყველა პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ადმინისტრაციულ - ტექნიკურ პოზიციაზე დასაქმებულ ყველა თანამშრომელს არა აქვთ წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალიწინებული ცნობები:,,უფლების ჩამორთმევის" და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ".

ინდიკატორთან მიმართებით, არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოედგინა ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პოზიციაზე დასაქმებულ ყველა თანამშრომელის კანონმდებლობით გათვალიწინებული ცნობები: ,,უფლების ჩამორთმევის" და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ. ასევე, შესაბმისობის გეგმით განისაზღვრა პერიოდი 2026 წლის 1 სექტემრადე, როცა სკოლა შეძლებს სკოლაში დასაქმებული ყველა პოზიციისთვის შეიმუშაოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და ცვლის ინდიკატორის შეფასებას.

ინდიკატორი 3.1.2.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

დასკვნის პროექტის თანახმად, ვიზიტის დროს, eSchool ბაზა მონაცემებით სკოლაში დასაქმებული იყო 56 თანამშრომელი, აქედან 41 მასწავლებელია: უფროსი-35; წამყვანი-4. მასწავლებლობის მაძიებელი-1 და სპეც. მასწავლებლი-1.

მასწავლებლების უმეტესობა შერჩეული არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლაში დასაქმებულია კვალიფიციური ექიმი, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერთიფიკატს პედიატრიაში. საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ არის განსაზღვრული ყველა პერსონალისთვის, განსაზღვრულია მხოლოდ დირექტორის მოადგილისთვის და ბუღალტერისთვის. დასაქმებულთა პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ სკოლის ბუღალტერი ვერ აკმაყოფილებს პოზიციისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ასევე დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს ასწავლის ოთხი მასწავლებელი, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია.

პერსონალის პირადი საქმეებისა და eSchool ბაზა მონაცემების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული ყველა პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2026 წლის 1 სექტემბრამდე და დაგეგმილ აქტივობებს (ვაკანსიის გამოცხადება) ასევე, სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანა ბუღალტრის საკვალიფიკაციო მოთხოვნება პოზიციაზე დასაქმებული პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და ცვლის ინდიკატორის შეფასებას**

ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილად დაკმაყოფილებულია

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რომელიც ასახულია სკოლის ღირებულებებში. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართული იყო კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდებოდა გამოცდილების გაზიარება, ერთად იგეგმება სასკოლო პროექტები. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს სკოლის სივრცეში გამოფენილი განხორციელებული პროექტები და წარმოდგენილი ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები. დირექტორმა აღნიშნა, რომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების კითხვარის შემუშავებაში. სკოლაში არსებული საზიარო სივრცეები (სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი) ხელს უწყობს თანამშრომლობით და გუნდური მუშაობის გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. კერძოდ, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის საკადრო პოლიტიკა, რომელიც დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელებას ეყრდნობა. თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით, სკოლის შინაგანაწესში გაწერილია წახალისების სისტემა. კერძოდ, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ინფორმაცია სკოლის წარმატებების, თანამშრომლების წარმატების, მათი მიღწევებისა და გამორჩეული აქტივობების შესახებ გამოქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში, ვებ-გვერდზე, ასევე განიხილება სკოლის თანამშრომელთა შეხვედრებზე. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას ძალიან დაეხმარათ ერთმანეთის წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლის დირეტორის ბრ N2-202-ით დამტკიცებული - სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები
- სსიპ-ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლის დირეტორის ბრ N2-210-ით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
- სკოლის შინაგანაწესი
- თანამშრომელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება
- eSchool ბაზა მონაცემებით
- სსიპ -ქალაქ ფოთის N 15 საჯარო სკოლაში ფიზიკის ვაკანტური საათების შესავსებადსაკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება№ 2-113
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N1
- პერსონალის პირადი საქმეები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალის სამუშაოს შესრულების შეფასებისა და პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს. კერძოდ, სამუშაოს შეფასება უზრუნველყოფს ძლიერი და

გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. დოკუმენტის მიხედვით პერსონალის შეფასების სისტემა ეფუძნება ზრდასრულთა სწავლების კონცეფციას და ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს: პატივისცემისა და აღიარების ატმოსფეროს შექმნა; აქტიური მონაწილეობის წახალისება; გამოცდილებაზე დაყრდნობა; კოლაბორაციული კვლევა-ძიება; სწავლა მოქმედებისთვის. მარეგგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების მეთოდები და ეტაპები.

პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით, რაც აისახება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობებით და საჭირო ბიუჯეტით.

2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გასაზღვრული ერთ-ერთი ამოცანაა ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება, რომელს ფარგლებში გასაზღვრული შესაბამისი აქტივობებია პერსონალის პროფესიული საჭიროებათა კვლევა, წარმატებული პრაქტიკის/ცოდნის და სიახლეების გაზიარების მიზნით, შიდა სასკოლო ტრენინგების დამკვიდრება, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების მოძიება/ ინფორმაციის მიწოდება, მაძიებლობის სტატუსის მქონე მასწავლებლებთან ტუტორების აქტიური მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში შიდა სასკოლო კონსულტაციების გამართვა, გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათ ვის უკუკავშირის გაზიარება. თითეული აქტივობისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და რესურსები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პესონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებული.

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია თანამშრომელთა შეფასებისა და პერსონალის განვითარების მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ საჭიროებებს. სტრატეგიული გეგმიდან ჩანს, რომ სკოლის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია ადამიანური რესურსის განვითარება. ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ადამიანური რესურსების განვითარების აქტივობებს შორის, მაძიებლობის სტატუსის მქონე მასწავლებლებთან ტუტორების აქტიური მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში შიდა სასკოლო კონსულტაციების გამართვა, გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათ ვის უკუკავშირის გაზიარება.

ადგილზე ვიზიტის დროს, მაძიებელი მასწავლებელ მასწავლებლეთან ინტერვიუთი დგინდება, რომ მისთვის განსაზღვრულია ტუტორი შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. ტუტორითან აქვს ხშირი კონსულტაცია და ემარება მას მაძიებლის პროგრამის დაძლევაში. წარმოდეგნილი მასალებით და გასაუბრების შედეგებით შეიძლება ითქვას, რომ გაკვეთილზე დაკვირვების შემდეგ ხდება, ძლიერი და გასაუმჯობესებიელი მხარეების იდენტიფიცირება და შესაბამისი განმავითარებელი რეკომენდაციების გაცემა.

პედაგოგთა პირადი საქმეებში განთავსებულია მათ პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერთიფიკატები. პროფესიული განვითარების მიმართულებით სერთიფიკატები წარმოდგენილია ადმინისტრაციული პერსონალის პირად საქმეებშიც.

პესონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით, სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით, სკოლა უზურუნველყოფს პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების და წინასწარ განსაზღვრული აქტივობების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებული.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ წინსვლას. პესონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაის და კარიერული წინსვლის მექანზმები. კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია კონკრეტული თანამშრომლის სურვილზე. სურვილის შემთხვევაში სკოლა აცხადებს მზადყოფნას დაეხმაროს თანამშრომელს კარიერულ ზრდაში. აღნიშულის მტკიცებულებად სკოლამ წარმოედგინა სტატუსის ამაღლებაზე, მასწავლებლის წარდგენის წერილი, რესურსცენტრთან და მასწავლებლის სახლთან. ასევე, კარიერული წინსვლის კარგი მაგალითია დირექტორის მოადგილის მიერ ადმინისტრაციული და პადაგოგიური საქმნობის შეთავსება. აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის საკითხებს. ასვე ცალკე დოკუმენტის სახითაა წარმოდგენილი ,,ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი", რომელიც მოიცავს ადაპტაციის ეტაპებს, აქტივობებს და ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირები. ახალ თანამშრომელთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სკოლა ეხმარება ახალ თანამშრომელს სწრაფ ადაპტაციაში. კერძოდ, აცნობს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს. ხდება თანამშრომლების გაცნობა, სასკოლო ინფრასტრუქტურის დათვალიერება, სკოლის ფილოსოფიის, შინაგანაწესის და მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა. დამატება სკოლის სოციალურ ქსელში და სხვა საკომუნიკაციო არხებში.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

პერსონალი მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სკოლის ადმინისტრაცია მზად არის წაახალისოს პერსონალიდან წამოსული ინიციატივები ეს იქნება სასკოლო პროექტების თუ საგაკვეთილო პროცესისთვის საჭირო რესურსების შესაძენად ან პროფესიული განვითარებისთვის. აღნიშნულის შესახებ ადამინისტრაციასთან მიმართვა შეიძლება

განხორციელდეს წერილობით ან ზეპირსიტყვიერად. მტკიცებულებად წარმოდგენილია სპორტის მასწავლებლის წერილი სპორტული ინვენტარის შესაძენის საჭიროებაზე. ასევე, მუდმივად ხდება რესურსოთახის ინვენტარის განახლება მოსწვლეთა საჭიროებების მიხედვით, სპეც მასწავლებლის მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლის დირეტორის ბრ N2-210-ით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
- სსიპ-ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლის ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი
- 2025-2032 წ სტრატეგიული გეგმა
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა
- სტატუსის ამაღების მიზნით რესურსცენტრში გაგზავნილი წერილი
- სპორტის მასწავლებლის მიმართვა -ინვენტარის შეძენაზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს სკოლაში ხარისხის მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს-დირექტორის მოადგილეს, ახდენს სკოლაში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის წესს. იდენტიფიცირებული პროცესების განხორციელება რეგულირდება შესაბამისი მეთოდოლოგიური დოკუმენტებით, დებულებებით და წესებით, სადაც აღწერილია პროცესების და ქვეპროცესების განხორციელების ეტაპების მონაცვლეობა, რაც დამადასტურებელია იმისა, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა განხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე პრინციპის დაცვით.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, ხოლო პროცესები აღწერილია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებში. კერძოდ, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად პროცესებს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით-ძირითადი პროცესები. ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, ბიბლიოთეკის დებულებით, საქმისწარმოების წესით.

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში არსებობს თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. კერძოდ, დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N-199 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ფოთის N15 საჯარო სკოლის განცხადებების და საჩივრების განხილვის წესი. დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს განცხადებისა და საჩივრის წარდგენის წესსა და ვადებს. დეტალურადაა აღწერილი ვის და როგორ შეუძლია

შეიტანონ სკოლაში საჩივარი/განცხადება აუცილებელი რეკვიზიტების მითითებით. დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებგვერზე, რაც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობას.

დოკუმენტის მიხედვით, ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც განიხილება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ. კერძოდ, დისციპლინური გადაცდომების შესახებ საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, ხოლო მისი გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია სამეურვეო საბჭოში, რაც უზრუნველყოფს გამჭირვალე და ობიექტურ განხილვის პროცესს. ასევე, ვაკანსიის შევსების პროცესში წარმოდგენილი პრეტენზიის შემთხვევაში, დირექტორი ქმნის საპრეტენზიო კომისიას.

სკოლამ წარმოდგინა ერთ-ერთი მასწავლებლის დისციპლინური გადაცდომის საქმისწარმოების მასალები. დისციპლინური დევნა დაიწყო მშობელთა მიმართვიანობის საფუძველზე, რაც ეხებოდა მასობრივი ინფორმაციით გავრცელებულ ინფორმაციას. სკოლის დირექტორის მიმართვის საფუძველზე დისციპლინურმა კომიტეტმა დაიწყო საქმეთა მოკვლევა. დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება აისახა სხდომის ოქმში, რომლის საფუძველზე დირექტორმა გამოსცა მასწავლებლის სამსახურიდან განთავისუფლბების ბრძანება. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სამეურვეო საბჭოში და სასამართლოში.

აღნიშნული მაგალითით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს საჩივრების განხილვის და გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემა.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ მექანიზმები. დოკუმენტის თანახმად, სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით შემუშავებულია შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები და ფუნქციონირებს სტრუქტურული ორგანოები: სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს სკოლის თანამშრომლისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების წესს, მასწავლებლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საქმისწარმოებას და სხვა კანონით გათვალისწინებულ პროცედურებს. წარმოდგენილია, აღნიშნული რეგულაციების შესაბამისად წარმოებული მასწავლებლის დისციპლინური დევნის მასალები. შინაგანაწესში ასევე, გაწერილია წახალისების ფორმები. დაწესებულებაში მოქმედებს საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო; სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, მანდატურები, სკოლის ექიმი. თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს მშობლებისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობას, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებში. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი მათი უფლება-მოვალეობები. მარეგულირებელი დოკუმენტები განთავსებულია ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. მშობლებს აქვთ უფლება აქტიურად იყვნენ ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად იზრუნონ სკოლის განვითარებისთვის. ინტერვიუს დროს მშობლებმა ისაუბრეს მათი ჩართულობით

განხორციელებულ ღონისძიებებზე. მშობლებმა ასევე ისაუბრეს მათ უფლებაზე მეორე უცხოური ენის არჩევის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სსიპ - ქალაქ ფოთის N 15 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N 2-196 ბრძანებით დამტკიცებული- ხარისხის მართვის პოლიტიკა
- სსიპ ქალაქ ფოთის N15 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N-199 ბრძანებით დამტკიცებული განცხადებების და საჩივრების განხილვის წესი.
- სსიპ ქალაქ ფოთის N15 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 16 დეკემბრის N 2-682 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“
- თანამშრომლებთან და მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- სკოლის ვებგვერდი:სსიპ - ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლა
- მეორე უცხოური ენის არჩევის ხელმოწერები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. კერძოდ, სკოლის ვებ/გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: სტრუქტურა, შინაგანაწესი, განცხადებების და საჩივრების განხილვის წესი, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები. მითითებულია სკოლის მისამართი, ელ. ფოსტა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, სწავლების ენა და საგანმანათლებლო სტატუსი, პირველკლასელთა ლიმიტი, მათ შორის სსსმ მოსწავლის. ვებგვერდს აქვს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების ანგარიშის გამოქვეყნების ველი. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის ასევე გამოიყენება სოციალური ქსელი, რომლის საშუალებით გაზიარებულია სკოლაში მიმდინარე სიახლეები. სკოლა საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებს მესინჯერ ჯგუფებს, მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინტერვიურებით ირკვევა, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისთვის ინფორმირებისთვის

მნიშვნელოვანი საშუალებაა ელ. ჟურნალი. ასევ ისაუბრეს დამრიგებლის როლზე სკოლასა და მშობელს შორის ინფორმაციის მიღების მიმართულებით. შინაგანაწესი ადგენს რეგულაციებს, პარასკევ დღეს მშობლებთან პირისპირ შეხვედრისა და მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაცნობის შესახებ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას, უკუკავშირის მიღებასა და მიღებული შედეგების საფუძველზე საჭირო ცვლილებების განხორციელებას. რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს სკოლის მართვის პროცესი გახდეს საჭიროებებზე მორგებული და გაიზარდოს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურობა.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლის სტრუქტურის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და შესაბამისი სტურქტურული ერთეულების დებულებებით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობა.

კოლეგიალური ორგანოების მუშაობის ოქმები ადასტურებს, რომ გადაწყვეტილებები მიღებულია კანონმდებლობის დაცვით, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის მართვის სისტემურობას და გამართულ ფუნქციონირებას.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა-ორგანოგრამა
- სკოლის ვებ- გვერდი:სსიპ - ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლა
- ფეისბუქ გვერდი.
- კოლეგიელური ორგანოს სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით შემოღობილია სკოლის ტრიტორია, თუმცა სკოლის პერიმეტრის მცირე მონაკვეთი, რომელიც საზიაროა კერძო პირთან, სასურველი იყოს მეტი სიმაღლის. სკოლას ჰყავს 3 დარაჯი და მანდატურის სამსახური. უსაფრთხოების მიზნით კიბეებს აქვს გლუვზედაპირიანი ხის ზედაპირი, სპორტულ დარბაზში ფანჯრებზე გათვალიწინებულია დამცავი ბადე. გათბობისა და სახანძრო სატუმბი სადგური განთავსებულია ეზოში, ცალკე მდგომ დაკეტილ ნაგებობაში. სკოლას აქვს მიმართვა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. (წერილი MES 4260000394249; 02/04/2026)

დასკვნის პროექტში ნათქვამია, რომ სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს:

- ✓ **უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა**
- ✓ **უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.**

აღნიშნულ საკითხებთან მიმართების სკოლის მიერ განხორციელებული შემეგი ღონისძიებები:

- ✓ შემუშავებულია საგანგებო მართვის გეგმა და გაგზავნილია შესათანხმებლად შესაბამის უწყებაში (წერილი MES 4260000397057; 02/04/2026)

- ✓ გაგზავნილი წერილი-შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით (წერილი MES 2 25 0001836816; 25/12/2025)

არგუმენტირებული პოიციის ფარგლებში, ინდიაკტორთან მიმართებით, წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხარვეზის გამოსწორების აქტივობების და პერიოდს. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემთხვევაში 2026 წლის 15 სექტემბერი, ხოლო შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების შემთხვევაში- 2027 წლის 1 აპრილი. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება.

რჩევა: სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში. სკოლის პერიმეტრის მცირე მონაკვეთის ღობე, რომელიც საზიაროა კერძო პირთან, სასურველი იყოს მეტი სიმაღლის.

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერთიფიკატს პედიატრიაში. სკოლის ექიმი აწარმოდებს კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას. აღნიშნულიდან გამოდინარე სკოლას აქვს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

ინდიკატორი 3.4.1.2 შესაბამისობაშია

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური. სკოლას ჰყავს 3 დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ პირთა გადაადგილების კონტროლს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სკოლაში არსებული უსაფრთხოების მექანიზმები უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად დასაქმებულია ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალიტი სპეც. მასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს სადამრიგებლო საათის პროგრამის ფარგლებში განხილულ საკითხებზე, რომლებიც ეხება ბულინგს, ძალადობას და მავნე ჩვევებს. მრჩეველთა საბჭოს ოქმში იკითხება მანდატურის სამსახურის მიერ გამხორციელებული საინფორმაციო ღონისძიებები უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. რაც დაადასტურეს მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოსც შექმნის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 5 დამლაგებლი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სკოლის ორივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის მარაგებზე პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. სანიტარულ-ჰიგიენური ინვენტარი ინახება ა სპეციალურად განკუთვნილ სათავსოებში, რაც უზრუნველყოფს მისი უსაფრთხო შენახვას და მარტივ ხელმისაწვდომობას საჭიროების დროს. სკოლის ექიმი მონიტორინგს უწევს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვს, რომ სკოლაში შექმნილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს მოწესრიგებულ და სუფთა გარემოში სასწავლო პროცესის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.4.1.5.დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით შემუშავებულია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტი-,,პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი“. წესი განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძვლებს, მიზნებს, უსაფრთხოების და გამჭვირვალობის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების პროცესის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, მათ შორის საქართველოს კანონთან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და საქართველოს მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო დოკუმენტებთან. სკოლას ჰყავს, პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერი. სკოლის არსებული პერსონალური მონაცემების მექანიზმები არის წინაპირობა, სასკოლო საზოგადოების წევრთა პირადი ინფორმაციის უსაფრთხო დამუშავების და დაცვის.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. კერძოდ, სკოლის მიერ შემუშავებული „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“ აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა კანონიერი დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდება მისი საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი.

სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს, შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შეფასების მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშია მანდატურის სამსახურის წარმომადგენელიც. სკოლის მანდატურის სამსახური უზრუნველყოფს სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას. მრჩეველთა საბჭოზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რაც დასტურდება წარმოდგენილი მრჩეველთა საბჭოს N2 ოქმით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის N 2-204 ბრძანებით -პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
- ქალაქ ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2025 წლის 21 მარტის -ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრისა და მისის სამუშაო აღწერილობის განსაზღვრის შესახებ.
- მიმართვის წერილი MES 4260000394249; 02/04/2026 -უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ
- წერილი MES 4260000397057; 02/04/2026 - საგანგებო მართვის გეგმის შესათანმებლად
- წერილი MES 2 25 0001836816; 25/12/2025-შენობის -ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით
- ექიმის პირადი საქმე
- ხელშეკრულება დარაჯთან
- ხელშეკრულება დამლაგებელთან
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი №2
- შესაბამისბის გეგმა
- წერილი MES 3260000432434; 15/04/2026 - საგანგებო მართვის გეგმის შესათანმებლად

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

საჯარო რეესტრის ამონაწერით, სსიპ- ქალაქ ფოთის N15 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს ქ.ფოთში, აღმაშენებლის ქ. №16-ში მდებარე ორსართულიან შენობაში. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა არსებობის ვადით. სკოლის შენობის საერთო ფართია-1677.4 კვ.მ. მიწის განაშენიანების ფართია-4338.00 კვ.მ

სკოლა ახლადრეაბილიტირებულია და ინფრასტრუქტურა მორგებულია ყველა შეაძლებლობის პირისთვის. სკოლაში სულ 23 საკლასო ოთახია, გარდა საკლასო ოთახებისა, არის კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, რესურსოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის ოთახი, ექიმის კაბინეტი, მანდატურის ოთახი, სასადილო, ოთახი მატერილურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისთვის, სპორტული დარბაზი ბიჭების და გოგონების გასახდელებით, მოწყობილია სივრცე ჭადრაკის სწავლებისთვის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განკუთხვილია ოთახი, სადაც დამონტაჟებული გამწოვი სისტემები, სკოლა შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე ელოდება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობას და ინვენტარს. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ეზო.

სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით და სასწავლო დაფით. სკოლის ბალანსზეა-775 მოსწავლის ასაკის შესაბამისი მერხი და სკამი. დაფა-32, კომპიუტერული ტექნიკა-60 ერთეული. პროექტორი-7, ქსეროსქსი-სკოლანერის აპარატი -6.

შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. დამონტაჟებულია ლიფტი.სახელმწიფოსგან ქონება გადაცემულია არსებობის ვადით, რაც იძლევა გარანტიას სკოლა, ავტორიზაციის პერიოდში, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალურ რესურსით.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და იძლევა სხვადასხვა აქტივობების სრულფასოვანი ჩატარებისა და დასვენების საშუალებას. სკოლას აქვთ საერთო სარგებლობის შიდა ეზო, სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ხელოვნების ოთახი, სამედიცინო კაბინეტი. შემუშავებულია ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებით რესურსებით სარგებლობის წესები.

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით და კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, რამდენადაც გამოკრულია თვალსაჩინოდ შესაბამის ადგილზე.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც განსაზღვრავს: ბიბლიოთეკის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს. სკოლა აწარმოებს წიგნადი ფონდის რეესტრს. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულია ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკარს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა. ვიზუალური დათვალიერების შედეგებით და ბიბილიოთეკის სამუშაო მასალებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისი მიწოდებას ნის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის შენობა ახლად რეაბილიტირებულია. მისი ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებული შშმ პირისთვის, რომელსაც აქვს შესაძლებლობა შეუფერხებლად ისარგებლოს სკოლის ნებისმიერი რესურსით. სკოლის შენობას აქვს ლიფტი, პანდუსი მოწყობილია შენობაში შესასვლელში. შენობის ორივე სართულზე არის სრულად ადაპტირებული სველი წერტილები, სადაც ასევე გათვალისწინებულია შშმ პირისთვის ადაპტირებული ხელსაბანიც. სკოლას აქვს საჭირო რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი. აღნიშნულიდან გამომდინარე

ინდიკატორის 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს დიდი ეზო, სპორტდარბაზი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული კლასი. სამასწავლებლო, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალური, გუნდური და თანამშრომლობით საქმიანობის გარემოს.

სკოლის შენობაში არსებული ნათელი და ფართო დერეფნები საშუალებას იძლევა მრავალფეროვანი აქტივობები განხორციელდეს. სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა რეგულარულად იყენებს სააქტო დარბაზს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, კულტურული და საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩასატარებლად. აღნიშნული გარემოება დასტურდება სკოლაში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალითაც. გარდა ამისა, სკოლაში შექმნილია ისეთი გარემო, რომელიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას შესვენებებისა და სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ისარგებლონ სკოლის ეზოთი დასვენებისა და არაფორმალური კომუნიკაციისთვის. მსგავსი სივრცეების არსებობა ხელს უწყობს მოსწავლეებს შორის სოციალური ურთიერთობების გაღრმავებას, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას. შედეგად, სკოლის ინფრასტრუქტურა ეფექტიანად გამოიყენება სასკოლო საზოგადოების სოციალური და კულტურული აქტივობების მხარდასაჭერად და ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარებას, რაც სკოლის სოციო - კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ინდიკატორი 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან N 882022803848 -
- ბიბლიოთეკის დებულება
- ბიბლიოთეკის სამოქმედო გეგმა
- სსიპ ქალაქ ფოთის N-15 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის N2-213 ბრძანებით დამტკიცებული-ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები
- ინვენტარიზაციის შედეგები
- მატერიალური რესურსის აღრიცხვის მასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებული 21 ლეპტოპი, სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც ითვალიწინებს კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობისა და გამოყენების წესებს. სკოლის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია ინტერნეტი. პერსონალური კომპიუტერები აქვთ სკოლის დირექციას და ადმონისტრაციას. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომლის მეშვეობითაც მშობელს ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს თავისი შვილის აკადემიური მოსწრებისა შესახებ ინფორმაცია. კომპიუტერული ტექნიკის გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სამინისტროდან გამოყოფილი IT სპეციალისტი. ინვენტარიზაციის დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ სკოლის ბალანსზეა-60 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ყველა საკლასო ოთახში არის ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლეპტოპები, ინტერნეტი, პროექტორები, ქსეროქსების აპარატები, მუდმივად

ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. მათ აქვთ შესაძლებლობა ადგილზე მოამზადონ პრეზენტაციები, მოიძიონ საჭირო ინფორმაცია, ამობეჭდონ მათთვის საჭირო მასალა, მოემზადონ გაკვეთილისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ფოთის N-15 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის N2-213 ბრძანებით დამტკიცებული-ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები
- ინვენტარიზაციის შედეგები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ფოთის N-15 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-198 ით. საქმისწარმოების წესი ადგენს მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს და სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის, ამ დოკუმენტში დარეგულირებულია დოკუმენტების მომზადების, მიღების, გაგზავნის, შენახვის, დაცვის წესები. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას. აწარმოებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას.უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, სკოლის არქივის დაცვასა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას. პერსონალის და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. პირადი საქმეები ინახება საქმეთამართველის ოთახში და განთავსებულია თაროებზე. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული („eflow”) და მატერიალური ფორმით. სკოლა საქმისწარმოების წესის შესაბამისად აწარმოებს: შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო, საკადრო ბრძანებების აღრიცხვის, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალებს და ცნობების გაცემის აღრიცხვას.

რჩევა: მიზანშეწონილია პირადი საქმეები ინახებოდეს დაკეტილ კარადებში

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა მართვის პროცესში აქტიურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რაც ხელს უწყობს ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანობას, დოკუმენტბრუნვის ოპერატიულობასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. სკოლაში დანერგილია საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eFlow, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებების განთავსება, ოფიციალური მიმოწერის წარმოება და შესაბამისი დოკუმენტაციის ელექტრონული მართვა. სკოლას აქვს eschool.emis.ge-ს ერთიანი ბაზა. ინფორმაციისა და კორესპოდენციის მისაღებად გამოიყენება ელექტრონული ფოსტა: poti15@mes.gov.ge, რომელიც უზრუნველყოფს უწყებებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიან კომუნიკაციას. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონული პორტალის - registration.emis.ge საშუალებით. სკოლას ასევე აქვს საკუთარი მომხმარებლის ანგარიში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში" procurement.gov.ge, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხორციელდება შესყიდვების გეგმის, შესაბამისი დოკუმენტაციის რეგისტრაცია და მართვა.

ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში eSchool.emis.ge კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახული აქვს სკოლის ძირითადი ინფორმაცია. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და საბანკო რეკვიზიტები. ბაზაში ასახული სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეთა და მათ მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა მონაცემები,საკონტაქტო ინფორმაციები. ხდება მოსწავლეთა მობილობის, ჩარიცხვა ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესები. ასევე შეყვანილია ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებული

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, რაც დასტურდება მტკიცებულებებით. კერძოდ, სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციებს საგანმანათლებლოს საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას,

მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს და თანამშრომლობს მათთან, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ფოთის N-15 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-198 დამტკიცებული საქმისწარმოების წესი
- ხელშეკრულება საქმისმწარმოებელთან
- საქმისწარმოების ჟურნალები
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით . სკოლას აქვს ვებ გვერდი სსიპ-ფოთის N15 საჯარო სკოლა, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. კერძოდ, საკომუნიკაციოდ მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია: სკოლის ელ.ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მისამართი. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ. სოციალური ქსელში სკოლას აქვს თავისი Facebook გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლაში განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია. საკუთარი სოციალური გვერდი აქვს სკოლის თვითმართველობასაც. გარკვეული სახის ინფორმაციის მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. საკომუნიკაციოდ აქტიურად ხდება მესინჯერ ჯგუფების გამოყენება. მშობლების განმარტებით, სისტემატიური კომუნიკაცი აქვთ დამრიგებელთან და დამრიგებელი წარმოედგენს სკოლასა და მშოელს შორის მნიშვნელოვან საკომუნიკაციო ხიდს.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და სხვადასხვა მარეგულირებელი დდოკუმენტები. ფეისბუქ გვერდზე სკოლა ათავსებს სანდო და უტყუარ ინფორმაციებსა და ფოტომასალებს სკოლაში განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ მშობლებიდან მიღებული შესაბამისი ნებართვების საფუძველზე. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ვებ/გვერდის მართვაზე პასუხიმგებელი პირი.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევის მიზნით სკოლა იყენებს გამოკითხვის მეთოდს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ სკოლა ითავლიწინებს მათ აზრს. მნიშვნელოვანი იყო სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი სასკოლო ფორმის ფერისა და მოდელების შერჩევის პროცესში. სასკოლო საზოგადოებიდან მიღებული უკუკავშირი საფუძველს წარმოადგენს სკოლის საქმიანობის ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის. უკუკავშირის ინფორმაციის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს პრობლემური საკითხები და საჭირო ცვლილებები, დაიგეგმოს საქმიანობის ოპტიმიზაცია და დაიხვეწოს სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი სსიპ-ფოთის N15 საჯარო სკოლა, რომელზეც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია ქართულ ენაზე

ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლას აქვს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge შესაბამისი გვერდი სსიპ-ფოთის N15 საჯარო სკოლა, სადაც გასაჯაროებულია სასკოლო დოკუმენტაცია: ხედვა, მისია,

ღირებულებები, შინაგანაწესი, სტუქტურა, სტრატეგიული, თვითმართველობის დებულება, სკოლის შინაგანაწესი და კორექტირებული ბიუჯეტი. ასევე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისამართი, საკონტაქტო მონაცემები, მოსწავლეთა და პედაგოგთა რაოდენობა, პირველკლასელთა ლიმიტი, არ გვახვდება ინფორმაცია პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი). ასევე ატვირთულია სხვა სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები. კერძოდ, ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები და გასაჩივრების პროცედურები. ამ ეტაპზე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოქვეყნების დრო არ დამდგარა.

დასკვნის პროექტის თანახმად, ვებ გვერდი არ მოიცავს ინდიკატორით გათვალიწინებულ სრულყოფილ ინფორმაციას სკოლის შესახებ. კერძოდ, არ არის განთავსებული პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი),გასაჩივრების მექანიზმები და ფინანსური მდგრადობის ანგარიში. ასევე, სკოლის ვებგრდზე განთავსებულია სხვა სკოლის დოკუმენტაცია. **ვებ/გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ ვებგვერდზე განთავსებული პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები,ფინანსური მდგრადობის შესაბ ანგარში, ხოლო რაც შეეხება მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი) და გასაჩივრების მექანიზმებს, რომელიც არის სხვა სკოლის. აღნიშNულთან მომართებით წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზრვრავს ხარვეზის გამოსწორების ვადას 2026 წლის 1 სექტემბრამდე და გამოსწორებისთვის საწირო აქტივობებს (დოკუმენტში ჩავამატებთ მისანიჭებელ კვალიფიკაციებს და ავტვირთავ გასწორებულ ვარიანტს).შესაბამისად ექსპეტთა ჯგუფი ცვლის ინდიკატორის შეფასებას.**

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.5 მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ/გვერდი: სსიპ-ფოთის N15საჯარო სკოლა
- ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/skola15.poti
- თვითმართველოს ფეისბუქგვერდი
- კითხვარები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე N10 ოქმით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიში,საფინანსო საქმიანობის განმარტებითი ბარათი) დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში. სკოლის ბიუჯეტი ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსების, კომპიუტერული ტექნიკის, სპორტული ინვენტარის, სამედიცინო ინვენტარის შეძენის ხარჯებს, რაც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალსიწინებული გარკვეული აქტივობების განხორციელებას და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.

ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

საჯარო სკოლის წესდება განსაზღვრავს სკოლის ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემას. სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემით. სკოლა ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება. სკოლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო, სახელწიფო კონტროლი გულისხმობს სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო

საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა
- სამეურვეო საბჭოს N 10 ოქმი-ბიუჯეტის დამტკიცება
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 დეკემბრისფინანსური ანგარიში
- 2026 წლის კორექტირებული ბიუჯეტი
- ანგარიში,საფინანსო საქმიანობის განმარტებითი ბარათი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლაში რეგულირდება შინაგანაწესით, წესდებით, სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგნლს უფლებებით, სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესით, (ბრძანება N2-193, 22 დეკემბერი, 2025 წელი) მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესით (ბრძანება N01-07/105, 01 დეკემბერი 2025 წელი), ინკლუზიური განათლების პროგრამითა და დებულებით (ბრძანება N2-300, 26 სექტემბერი, 2023 წელი), სასკოლო სასწავლო გეგმით, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის წესით და სხვა სკოლის მიერ განსაზღვრული სასწავლო პროცესში გამოყენებული მარეგულირებელი აქტებითა და წესებით. წარმოდგენილი დოკუმენტებით უზრუნვლყოფილია მოსწავლის ჩართვა სკოლის მართვაში, დაზუსტებულია მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები, წახალისებისა და სახდელის გამოყენების პირობები, მოსწავლეთა მხრიდან საკუთარი უფლებების დაცვის რეგულაციები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4 1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მშობლის მიერ სკოლის შინაგანაწესის გაცნობის დადასტურების ფაქტს, ასევე კლასის დამრიგებლი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებსა და /კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის ნაწილებს, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტს. ზემოთაღწერილი დოკუმენტები გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე, რაც ადასტურებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობასა და გაზიარებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4. 1.1.2. დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. გაწერილია მოსწავლის მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- თვითმმართველობის დებულება
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება
- 2025-2026 წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა
- დამრიგებლის დებულება
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- სკოლის ვებ/გვერდი: სსიპ - ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლა
- ფეისბუქ გვერდი
- სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- მოსწავლის ტრანზიციის წესი
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესით
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. კლასისა და საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი არ აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლის დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №2-203თ დამტკიცებულია ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების ან/და შეწყვეტის, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე“ მოსწავლის ჩარიცხვის წესი. სკოლის მირ წარმოებული დოკუმენტაციით და მართვის საინფორმაციო ბაზის შესწავლით დადგინდა, რომ დაცულია კანონმდებლობასთან თავსებადი შიდა რეგულაციებით დადგენილი ნორმები მოსწავლის ჩარიცხვასთან, საფეხურის დაძლევასთან, მობილობის, სტატუსის შეჩერება/აღდგენასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლაში დაგეგმილი პროექტის შესახებ ინფორმაცია წინასწარ მიეწოდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა კლუბი თუ წრე, მაგალითად, **დებატების კლუბი, ლიტერატურული კლუბი, ეკო კლუბი, მხარეთმცოდნეობის კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან შექმნილია კლუბი ,,ჩვენი სკოლისთვის“,** რომელსაც აქვს თავისი გვერდი სოციალურ მედიაში და განათავსებს კლუბის მიერ ჩატარებულ აქტივობებს.

სკოლაში განხორციელებულია სხვადასხვა პროექტი და ღონისძიება, მაგალითად.

პროექტი „შევისწავლოთ მშობლიური მხარე სამეგრელო“

პროექტი „ფინანსური განათლება“

პროექტი „Voice 404”

პროექტი „რა არის გმირობა,ვინ არიან გმირები“

პროექტი „შავი ზღვა ჩვენი პასუხისმგებლობა“

სკოლას ხელშეკრულება აქვს დადებული სსიპ- ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლასთან და მემორანდუმის საფუძველზე მოქმედებს საშაბათო სკოლა, რომლის საქმიანობის ფარგლებში მოსწავლეები გაღრმავებულად სწავლობენ ტექნიკურ საგნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - საქმისმწარმოებელი და ფეისბუქგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი შესაბამისად სკოლის ვებგვერდზე განთავსებული და სკოლის მიერ

გაცემული საჯარო ინფორმაცია არის სანდო, კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/ აღდგენისა და შეჩერების წესი;
- სკოლის ვებ გვერდი და სოციალური ქსელი
- მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები
- 2025-2026 სასწავლო წელს სსიპ -ქალაქ ფოთის N 15 საჯარო სკოლაში მოსწავლეებისათვის დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით გახანგრძლივებული წრის შექმნის შესახებ, 2025 წლის 15 ოქტომბრის ბრ. N2-151
- გახანგრძლივებულის მასწავლებლის ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლამ მტკიცებულებებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანება (N 2-193, 2025 წლის 22 დეკემბერი) მოსწავლის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ, აგრეთვე, დირექტორის ბრძანებით (№2-205, 2025 წლის 23 დეკემბერი) დამტკიცებული ტრანზიციის დებულება. წარმოდგენილი დოკუმენტებით სკოლა არეგულირებს პირველკლასელთა, სსსმ და მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას. ამავე დოკუმენტებით განსაზღვრულია მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას, დროულად გამოავლინოს მოსწავლეთა საჭიროებები და იმოქმედო მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლას მოსწავლის ადაპტაციის წესით განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერა სასკოლო გარემოში წარმატებული ადაპტაციისათვის. მოსწავლის ადაპტაციის წესი ითვალისწინებას მოსწავლის სწავლის დაწყების მომენტიდან მის სოციალიზაციასა და ადაპტაციას. კერძოდ, განსაზღვრულია მოსწავლის მობილობის, პირველ კლასში შესვლისას სკოლაში ტრანზიციისა და ჩართულობის მხარდაჭერა. ახალი მოსწავლისა და პირველკლასელების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ მასწავლებლები, კლასის დამრიგებლებს ევალებათ მათი სოციალიზაციის ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულება საკონსულტაციო ფორმითა და რემედიაცით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის მიერ ზეპირ თუ წერილობით უკუკავშირს, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლასა და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობელის დროულ ინფორმირებას. მასწავლებლებთან ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა რემედიაციისა და კონსულტაციების გზით მხარს უჭერს მოსწავლეებს გამოცდების წინ. სკოლამ წარმოადგინა რემედიაციის მიმართულებით ჩატარებული მუშაობის ამსახველი დოკუმენტები, რემედიატორი მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი გეგმები, რეფლექსიები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ

ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, ფოიეს, ეზოს მოედანს, სპორტულ და სააქტო დარბაზებს. სკოლა უწევს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს. სასკოლო სასწავლო გეგმით შედეგებიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა გეგმავს დამატებითი მეცადინეობების ჩატარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა მოსწავლეებს აწვდის დაუყოვნებლივ ინფორმაციას ექსტერნატის, ნიშნის ამაღლების, საშემოდგომო გამოცდის შესახებ და უზრუნველყოფს შესაბამის მომსახურებას. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის ნაწილებს, სადაც განსაზღვრულია სემესტრული, წლიური, საშემოდგომო, 30% გაცდენებისა, შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი, ექსტრნატის გამოცდების ჩატარების პირობები, სასკოლო საზოგადოებისთვის დამრიგებლების მეშვეობით ასევე ხელმისაწვდომია სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების შესახებ. აღნიშნულის შესახებ ისუბრეს მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

დირექციის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვითმმართველობის განმარტებით, სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი, რომელსაც ისინი ღებულობენ როგორც ზეპირად, პირისპირ შეხვედრების, ინტერვიუების დროს, ასევე სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებში ან სკოლის სოციალური ქსელის შეტყობინების ფუნქციით ან/და გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დატოვებული კომენტარის სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო დებულება და საქმიანობა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დებატების კლუბის სამოქმედო გეგმა

- ეკო კლუბის სამოქმედო გეგმა
- მხარეთმცოდნეობის კლუბის სამუშაო გეგმა
- სამოქალაქო კლუბ „ორიენტირის“ სამოქმედო გეგმა
- პროექტი „შევისწავლოთ მშობლიური მხარე სამეგრელო“
- პროექტი „ფინანსური განათლება“
- პროექტი „Voice 404”
- პროექტი „რა არის გმირობა,ვინ არიან გმირები“
- პროექტი „შავი ზღვა ჩვენი პასუხისმგებლობა“
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სასკოლო სასწავლო გეგმით დაწესებულებას განსაზღვრული არა აქვს პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამები. თუმცა წარმოადგინა დოკუმენტები (მემორანდუმები) პროფესიულ სასწავლებლებთან გაფორმებული და სხვა მასალები უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან ურთიერთობებზე: სასწავლებლებში ვიზიტები, სასწავლო ექსკურსიები, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების ვიზიტები სკოლაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლის დირექცია, დამრიგებლები პერიოდულად აწვდიან სკოლის მოსწავლეებს სანდო და განახლებულ ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ პროფესიულ კოლეჯის პროფესიულ და უმაღლესი სასწავლებელების პროგრამებზე, ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერვისების შესახებ. ვიზიტის დროს გასაუბრებებით დადგინდა, რომ სკოლა აორგანიზებს პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენლებთან შეხვედრებს. სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში დამრიგებლები არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

ადმინისტრაციასტან ინტერვიუებით დადგინდა, რომ სკოლას აქვს სკოლის საჭიროებისა და პრაქტიკის კვლევების გამოცდილება, სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული კვლევების ინსტრუმენტები, ანგარიშები, რითაც სასწავლო პროცესის გაუმჯობესება მიმდინარეობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია;
- დამრიგებლის ანგარიშებითა და პორტფოლიოებით;
- სადამრიგებლო დებულება, საქმიანობა;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ღონისძებები. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, რომლის მიხედვითაც, გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი განსაზღვრულია სკოლის ის ვალდებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის უსაფრთხოებასა და დაცულობას სასკოლო გარემოში. რაც შეეხება ინდივიდუალური გეგმის განხორციელების გეგმას, ის სკოლას ადმინისტრაციულ სამართლბრივი აქტით აქვს დამტკიცებული, განსაზღვრულია

მონიტორინგის ჯგუფი. სკოლაში ირიცხება 3 სსსმ მოსწავლე, სკოლაში შექმნილია ისგ-ის ჯგუფები, არის 1 სპეციალური მასწავლებელი და სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეებს ეწევათ შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურეობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს - დირექციასთან, სპეციალურ მასწავლებლებთან და საგნის მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლის წარმომადგენლები ეფექტურად მუშაობენ სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე, სკოლაში ხდება ისგ ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, სსსმ მოსწავლისთვის შემუშავებულია ისგ გეგმები სპეციალური მასწავლებლის და საგნის მასწავლებლის ურთიერთანამშრომლობით, მაღალია მოსწავლეთა მშობლების ჩართულობა, რაც დადებით გავლენას ახდენას სსსმ მოსწავლეთა წინსვლასა და განვითარებაზე. სკოლას აქვს რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით, სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს რესურს-ოთახში, რომელიც აღჭურვილია საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სპეც.მასწავლებლის სამოქმედო გეგმა
- რესურს ოთახის მასალები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლას დამატებითი არასავალდებულო მომსახურეობის სახით მოსწავლეებს სთავაზობს არასავალდებულო ხასიათის გახანგრძლივებულ სწავლებას და კვებას. წარმოდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრული, შესაბამისი დოკუმენტაცია - სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 ოქტომბრის ბრძანება №2-151 გახანგრძლივებული წრის შექმნაზე და გახანგრძლივებულის მასწავლებლთან გაფორმებული ხელშეკრულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა, გახანგრძლივებული სწავლება და კვება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

დამატებითი მომსახურება სკოლაში ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, რაზეც პასუხისმგებელია სერვისის მიმწოდებელი. გახანგრძლიევბული მასწავლებლთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია მისი ვალდებულებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება გახანგრძლივებულ სწავლებასთან დაკავშირებით
- გახანგრძლივებულის პედაგოგთან დადებული ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

დაწყებითი საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლის დირექციისა და საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; კურიკულუმის განვითარების ეტაპებსა და პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი. დოკუმენტი გაზიარებულია კათედრების სხდომებზე. კათედრების მიერ მხარდაჭერილი დოკუმენტი წარდგენილია პედაგოგიური საბჭოსთვის. საგნობრივ კათედრებთან შეხვედრებისა და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა სკოლის მზაობა, რომ სასწავლო წლის ბოლოს სკოლა გეგმავს დოკუმენტის რევიზიას სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეებისა და მშობლების აქტიური ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით. სკოლის დირექციის მიერ გათვალისწინებელი იქნება მასწავლებლების ინდივიდუალური ხედვა, გამოცდილება და უკუკავშირები, სასკოლო საზოგადოების შესაძლებლობები, შეხვედრები მშობლებთან როგორც დასწრებული, ასევე დაუსწრებელი ფორმით. სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ინტერესები, აქტუალური საკითხები გათვალისწინებული იქნება და მოერგება სასკოლო საზოგადოების

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმები შემუშავებულია კათედრის წევრების სრული ჩართულობით. მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, სკოლის კონკრეტული საჭიროებები. კურიკულუმის შექმნის დროს, აგრეთვე, ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, საფეხურების მიხედვით შეადგინეს კურიკულუმი სასწავლო საკითხების, თემების და შემოქმედებითი პროდუქტის დავალებების ცნებების მიხედვით. კურიკულუმის მიღწევის დონის დიაგნოსტირებისათვის პედაგოგების მხრიდან ხდება განხორციელებული აქტივობებისა და მუშაობის პროცესის გაანალიზება და ამ შედეგების ანალიზის გათვალისწინებით დაიგეგმება ამ საგნის მომავალი წლის კურიკულუმი. სასკოლო

საზოგადოების ინტერესების გაგება-კვლევისათვის პედაგოგებმა სასწავლო წლის დასაწყისში ჩაატარეს მშობელთა კრებები და ზეპირი გამოკითხვის გზით გაიზიარეს მშობელთა მოსაზრებები ბავშვების ინტერესების შესახებ. შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციების, მშობელთა აზრის გათვალისწინებით კათედრებმა შეიმუშავეს საგნის კურიკულუმები. სამომავლოდ დაგეგმილია ინფორმაციის შეგროვებისათვის დაინერგოს ელექტრონული ფორმით გამოკითხვა. აღნიშნული მეთოდი დაეხმარება პედაგოგს უფრო სწრაფად და ეფექტურად შეიტყოს მოსწავლეთა, მშობელთა და კოლეგათა ინტერესები, საჭიროებები. შესაბამისად, გამარტივდება მონაცემების გაანალიზება და მათი გამოყენება სასწავლო კურიკულიმის შემუშავებისას.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კათედრების ხელმძღვანელები კათედრების სხდომებზე განიხილავენ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილ პრობლემებს, აგროვებენ კათედრების წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს, თანამშრომლობენ სკოლის დირექციასთან და მონაწილეობას იღებენ სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის კათედრები და ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო აქტივობებს

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლაში მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა, სიახლეების გაცნობა და გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა კლასისა და საერთო კრებებზე. სკოლას შექმნილი აქვს სოციალური ქსელი, მოსწავლეთა თვითმმართველობას აქვს, აგრეთვე, გვერდი სოციალურ ქსელში Faceebok-ზე, სადაც ზიარდება სკოლაში ჩატარებული აქტივობები. სკოლამ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ერთ-ერთ აქტივობად დაგეგმა სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის გაცნობა მშობლებისთვის. სკოლაში არსებობს, სასკოლო საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის სხვადასხვა ფორმა: ანკეტირება და ზეპირი/სიტყვიერი ფორმა

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურუკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრების სხდომების ოქმები.
- მშობელთა კრებების ოქმები.
- სასწავლო სასკოლო გეგმა

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარმოადგინა კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები სწავლების სამივე საფეხურისათვის. კურიკულუმები გაწერილია საგნების სტანდარტის მიხედვით, გათვალისწინებულია სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, დაზუსტებულია ქვეცნებები და მათგან გამომდინარე სასწავლო რესურსები. ასევე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები კომპლექსური და/ან შემოქმედებითი დავალების იდეის სახით. წარმოდგენილი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც მასწავლებლები ითვალისწინებენ აღსაზრდელთა საჭიროებებს და შესაძლებლობებს. **2.1.2.1ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული სასკოლო კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების მნიშვნელოვან გზას. იგი მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სწავლის პროცესის ორგანიზებას. კურიკულუმი ხელს უწყობს ცოდნის სისტემურ გადაცემას და სწავლების მიზანმიმართულობას. ასევე, ის ქმნის შესაძლებლობას მრავალფეროვანი თემებისა თუ შემაჯამებელთა იდეების საფუძველზე მოსწავლემ გაიღრმავოს ცოდნა. მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმი უზრუნველყოფს აქტიურ სწავლის გარემოს, რაც აუმჯობესებს მოტივაციასა და სწავლის ხარისხს. იგი ასახავს თანამედროვე მოთხოვნებს, მათ შორის კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	კურიკულუმში მოცემულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე ორიენტირებული დავალების იდეები, რომლებიც კომპლექსური ბუნებისაა, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი ასაკობრივი თავისებურებები, რაც თავის მხრივ, განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო , საშუალო საფეხურები) სასურველია ცნებები მიეთითოს ყველა თემის ფარგლებში. ასევე, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავება ხდება თემის ფარგლებში **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	გადმოგზავნილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ ესთეტიკის კათედრაზე ხდება შემუშავებული კურიკულუმების ანალიზი. კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. კურიკულუმები მიემართება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ შედეგებისკენ. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთ თემებსა და აქტივობებს, რაც ერთი მხრივ სავალდებულოა, მეორე მხრივ კი მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ესთეტიკის მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე და მის განვითარებაზე. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებელთა მიერ შერჩეული თემები, შემოქმედებითი დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, მოთხოვნებს. კურიკულუმის ფარგლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა მოსწავლეებს აკადემიური და პიროვნული განვითარებისთვის ხელშემწყობ აქტივობებსა და დავალებებს სთავაზობს. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**

მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. კურიკულუმში მოცემული მრავალფეროვანი აქტივობები და სასწავლო რესურსები, ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I – IVკლასი) წარმოდგენილი კურიკულუმები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში ჩანს ისეთი დავალებები (მათემატიკა მესამე კლასი – „სახლისა და ეზოს მაკეტის შექმნა სივრცული ფიგურებით“; ქართული მეორე კლასი – მკითხველის პოსტერის შექმნა; მე და საზოგადოება – მესამე კლასი–საინფორმაციო ბროშურის შექმნა; ბუნებისმეტყველება – მეორე კლასი–”ტბის დიორამის შექმნა”), აქტივობები და რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელი აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება კათედრის წევრებს შორის მოსაზრებების გაზიარება, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის გამოყენება. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია კი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების

	საშუალებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ინსტრუმენტს. ისინი კურიკულუმს იყენებენ სასწავლო მიზნების განსაზღვრის, აქტივობების დაგეგმვისა და სასწავლო შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პროცესის ეფექტურ განხორციელებას. **რჩევა:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის კათედრაზე განისაზღვროს კურიკულუმების ერთგვაროვანი ფორმატი და სტრუქტურა **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით და თანდართული დოკუმენტაციით. სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კურიკულუმები ორიენტირებულია ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებზე, უმეტეს შემთხვევაში ნაჩვენებია თემები/საკითხი, შუალედური მიზანი, საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, აქტივობები მიზნის მისაღწევად. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი უკავშირდება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მის მიერ განსაზღვრულ მიზნებს. იგი წარმოადგენს იმ სტრატეგიულ დოკუმენტს, რომლის მეშვეობითაც სკოლა ახორციელებს ეროვნული საგანმანათლებლო პრიორიტეტების პრაქტიკაში გადმოტანას. კურიკულუმი ასახავს ზოგად ეროვნულ მიზნებს კონკრეტულ სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს მათ ეტაპობრივ და სისტემურ განხორციელებას. ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შექმნილი კურიკულუმი ეხმარება სკოლას, ჩამოაყალიბოს სასწავლო გარემო, რომელიც შესაბამისობაშია ქვეყნის განათლების ფილოსოფიასთან. იგი ასევე უზრუნველყოფს განათლების ხარისხის ერთიან სტანდარტს. კურიკულუმის მეშვეობით იქმნება ბმა მოსწავლის საჭიროებებსა და ეროვნული მიზნების მიღწევას შორის. 2.1.2.2 **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები, რომლებიც თემის ფარგლებში მეტნაკლებად იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი შესაძლებელს ხდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. შესაბამისად, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)“. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავება ხდება თემის ფარგლებში. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით

	განსაზღვრული საგნობრივი (ხელოვნება–მუსიკა) სტანდარტების მისაღწევი შედეგები. კურიკულუმებში გათვალისწინებული და გაწერილია ესთეტიკის მიმართულების საგნების სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. შერჩეული შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს შესაბამის სამიზნე ცნებებზე გასვლას. შესაბამისად, კურიკულუმები მიემართება ესგ–ით განსაზღვრულ მიზნებს. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. შუალედური მიზნების მისაღწევად კურიკულუმებში ჩაშენებულია შემოქმედებითი ბუნების დავალებები. სამივე საფეხურის კურიკულუმებში იკითხება, რომ დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. შერჩეული კომპლექსური ბუნების დავალებები შეძლებისდაგვარად გათვლილია ისეთი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა. **რჩევა:** დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებზე მუშაობისას , სასურველია, მასწავლებლებმა გაითვალისწინონ საბაზო და საშუალო საფეხურის კოლეგათა გამოცდილება და კურიკულუმები შეავსონ ისეთი დავალებებით, რომელთა შესრულებისას ყველა ცნება დამუშავდება. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ე.ს.გ_ში განსაზღვრულ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. თემის ფარგლებში სამივე საფეხურზე მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, ხდება შუალედური მიზნების შემოქმედებითი ტიპის დავალებებით დამუშავება. კურიკულუმის ჩარჩოთი დგინდება, რომ პედაგოგები სხვადასხვა საკითხების სწავლებისას იყენებენ დამატებით სასწავლო ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნაზე,მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას სამივე საფეხურზე

	კურიკულუმი შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტზე დაყრდნობით, ითვალისეინებს საგნის მიზნებს , შედეგებს და საგნის სამიზნე ცნებებს. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსაკენ . სადაც ჩანს ცოდნათა სამ კატეგორიაზე გათვლილი დავალებები **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები. ჩანს მოსწავლის ცოდნის, უნარების და ღირებულებების განვითარება. სწავლება ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს და უზრუნველყოფს მის პიროვნულ და სოციალურ ზრდას. **რჩევა:** *სასურველია, რომ ბუნებისმეტყველების IV კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. სასურველია, ქართული ენის საგანში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება და დაკონკრეტდეს ქვეცნებები.* **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში საგანმანათლებლო რესურსად ძირითადად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები, იშვიათ შემთხვევაში მითითებულია ელექტრონული რესურსების გვერდები. სკოლას აქვს გამოყოფილი ერთი ოთახი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კაბინეტ-ლაბორატორიის მოსაწყობად და დამხმარე რესურსების, თვალსაჩინოებების ორგანიზებისთვის.

	კაბინეტი საერთო იქნება ფიზიკისა და ქიმიის მეცნიერებების სწავლებისათვის. ასევე არსებობს ბიოლოგიის კლას-კაბინეტი. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია სკოლის მიერ. კონკრეტულად, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები – მათ შორის სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული მასალები, ასევე თემატურად შერჩეული დამატებითი წყაროები – ეფექტურად ემსახურება მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები ახერხებენ მათ ინტეგრაციას სასწავლო პრაქტიკაში, რაც ხელს უწყობს როგორც აკადემიური, ისე სოციალური და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. **რჩევა:** სასურველია სკოლამ კიდევ მეტად მრავალფეროვანი რესურსი შესთავაზოს მოსწავლეებს, როგორც წყაროები, ასევე ფილმები, პრეზენტაციები და სხვა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი დამატებითი რესურსია შემოთავაზებული. ასევე საჭროა, მეტად კონკრეტული ინფორმაცია წარმოადგინონ კურიკულუმში რესურსის შესახებ. ეს იქნება კონკრეტული ბმული, ფილმის სახელწოდება თუ სხვა. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმში წარმოდგენილია როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები (გრიფირებული და დამატებითი სახელმძღვანელოები), ინტერნეტ-პლატფორმები, ფოტოვიდეო და აუდიო მასალები, ელექტრონული ბმულები). მათი შესაბამისად გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ კურიკულუმის გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის მიმართულების კურიკულუმებში, თითოეულ სავალდებულო ბლოკში გაწერილი თემისთვის განსაზღვრულია ძირითადი საგანმანათლებლო და რიგ შემთხვევაში დამატებითი რესურსიც. უმრავლეს შემთხვევაში ეს არის გრიფირებული სახელმძღვანელო. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხშირად იყენებენ ელექტრონულ რესურსებსაც, მათ შორის ტელესკოლის რესურსებსა და სამინისტროს მიერ მიწოდებულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ხშირ შემთხვევაში რესურსებში მითითებულია მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელო და ავტორი. კარგი იქნება, რომ ყველა თემისთვის განისაზღვროს კონკრეტული რესურსი (სახელმძღვანელოს შემთხვევაში გაკვეთილის სათაური ან/და გვერდი, დამატებითი რესურსის შემთხვევაში დასახელება/ავტორი/ლინკი და ა.შ.).**2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ძირითად რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, უმრავლეს მათგანში დამატებითი რესურსებიცაა ჩანიშნული, თუ არ ჩავთვლით მე-6 კლასის კურიკულუმს, რომელშიც მხოლოდ ძირითადი სახელმძღვანელოს გვერდებია მინიშნებული. ცალკე გამოგზავნილ ფაილში ნაჩვენებია, ძირითადად რა რესურსებს იყენებს კათედრა. სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარებული კათედრის სხდომის ოქმიდანაც ირკვევა, როგორ არჩევს და ამტკიცებს ყოველი მასწავლებელი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზე, მათ განვითარებაზე მორგებულ რესურსებს. ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს მასწავლებლებმა, გამოყენებული ელექტრონული რესურსებისა და სხვა დამატებითი სასწავლო მასალების შესახებ. სახელმწიფო ენის კათედრას აქვს გამოცდილება, თავადაც შექმნან სასწავლო რესურსები. **რჩევა:** სასურველია, ყურადღებით შეივსოს სასწავლო კურიკულუმები და ყოველ მათგანში რესურსებად მიეთითოს ის გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომლებიც კათედრამ შეარჩია წლის დასაწყისში. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით კათედრა ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი მიზნების მიღწევას. დამატებით წარმოდგენილია დამხმარე ელექტრონული რესურსები, რომლებიც შერჩეულია მიზნობრივად და უწყობს ხელს ეფექტურად სასწავლო შედეგების მიღწევას. სკოლას ასევე აქვს ინტერაქტიული დაფა, რომელსაც აქტიურად იყენებენ სხვადასხვა გრაფიკული მოდელებისთვის. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესების დაგეგმისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონი სეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით, ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში მოცემულია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსები. კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; პედაგოგები იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და დამატებით რესურსებს, მათ შორის ონლაინ რესურსებს, ვიდეოებს და ა.შ. **რჩევა:** სასურვველია, კათედრამ ყველა საგნობრივ კურიკულუმში ერთნაირად უზრუნველყოს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და შეიმუშაოს მათი მითითების საერთო წესი . **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხდება პირველ რიგში მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. თუმცა საჭიროებათა განსაზღვრა ხდება მასწავლებლების სუბიექტური შეხედულებების საფუძველზე, რადგან დიაგნოსტიკურ წერებს საბუნებისმეტყველო

	მეცნიერებებში სკოლა არ ატარებს. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა დამაკმაყოფილებლად ახორციელებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს სასწავლო პროცესში აშკარად ჩანს მცდელობა, ყველა მოსწავლის უნარების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მოხდეს სწავლა-სწავლების ორგანიზება. მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ტიპის აქტივობებსა და საშუალებებს იმისთვის, რომ უზრუნველყონ ყველა მოსწავლის ჩართულობა, მათ შორის მათიც, ვინც განსაკუთრებულ საგანმანათლებლო საჭიროებებს ავლენს. აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებშიც იკვეთება როგორც დიფერენცირებული, ასევე ინკლუზიური მიდგომები. სკოლის სასწავლო გარემო ხელს უწყობს ინკლუზიურობის პრინციპების დაცვას. **რჩევა:** სასურველია, დიფერენცირებულ მიდგომებს უფრო აქტიურად მიმართოს სკოლამ. მოსწავლეებს მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება როგორც დავალების ფორმატის, ასევე შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილში. აღნიშნული მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოავლინონ ინდივიდუალური შესაძლებლობები, ასევე გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	პედაგოგებს აქვთ მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები და აქვს გამოცდილება ამ მოსწავლეებთან მუშაობისა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელებისა. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და უცხოური ენების პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეზე ორიენტირებული, ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებზე გათვლილი აქტივობები. მრავალფეროვანი რესურსები და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში ხდება მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შეფასება. სწავლების პროცესში

	გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები. მასწავლებლები დაკვირვებისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე ახდენენ მოსწავლეთა მზაობის დადგენას. აქედან გამომდინარე მოსწავლეებს მიეწოდებათ შესაბამისი სირთულის მასალა/დავალებები. შემაჯამებელი სამუშაოები შედგება მრავალფეროვანი, სხვადასხვა სირთულის დავალებებისაგან, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეასრულონ დავალებები მათი შესაძლებლობების მიხედვით. გარდა ამისა, მასწავლებლებს სსსმ მოსწავლისთვის შედგენილი აქვთ ისგ გეგმები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და გაწერილია მრავალფეროვანი დავალებები, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო შედეგებზე გასვლას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და უზრუნველყოფილია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე წარმოდგენილ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები მოქნილია და მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. ყოველი კლასის კურიკულუმს თან ახლავს ამ კლასში განსახორციელებელი შემოქმედებითი ტიპის დავალებების მოსწავლის ბარათები. რომლებიც ცხადყოფს მასწავლებლის მხრიდან თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალურ მიდგომას. სკოლაში შექმნილია ,,მკითხველთა კლუბი“, რომლის მიზანია მოსწავლეებში გაზარდოს ლიტერატურისადმი ინტერესი და სიყვარული, ხელი შეუწყოს მოზარდთა წიგნიერებას. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, თემები და შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს დიფერენცირებულ სასწავლო გარემოს. დოკუმენტაციისა და ინტერვიურების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო

	რესურსებით **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	შემუშავებული აქვს ისგ გეგმები რომელიც საშუალებას იძლევა რომ მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები იქნას აღწერილი, ამასთან კომპლექსური დავალების შინაარსობრივ ნაწილში აღინიშნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, სწავლება გათვლილია ყველა მოსწავლეზე, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა თუ საჭიროებებისა. ყველა ბავშვი თანაბრად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში. დიფერენცირება გათვალისწინებულია კურიკულუმებში, რადგან კურიკულუმები არის თემატური დაგეგმვის, თემად აღებულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ნაცნობ კონტექსტზე, რაც თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის ჩართულობას. შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.სასწავლო პროცესში რეგულარულად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. **რჩევა:** სასურველია, თუ დაწყებითის კათედრა კურიკულუმებში შეიტანს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით შემუშავებულ აქტივობებს. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრაზე შემუშავებულია შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს ორკომპონენტიან შეფასებას, როგორც განმსაზღვრელს და ასევე განმავითარებელ შეფასებას. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებები ძირითადად წარმოდგენილია დაწყებით საფეხურზე, საბაზო და საშუალო საფეხურზე ვერ წარმოადგინეს შემაჯამებელი დავალებები შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრონციპებთან. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია როგორც ცოდნის შემოწმება, ისე უნარების. შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ ტესტური ფორმებით – მასში შედის სხვადასხვა სახის ფორმატული და შემაჯამებელი მეთოდი, რაც ეხმიანება გეგმით განსაზღვრული მრავალმხრივი შეფასების მიდგომას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები იყენებენ ცხადად ფორმულირებულ კრიტერიუმებს, რათა შეფასება იყოს ობიექტური, გამჭვირვალე და განვითარებაზე ორიენტირებული. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ სკოლა რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების ფორმებს. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია სხვადასხვა აქტივობისთვის შერჩეული შეფასების ფორმები. **რჩევა:** შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე გაერთიანებულ საგნებში შემუშავებული შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით და დაადგინონ მათი მიღწევების დონე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, შეილება ითქვას, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლები იცნობენ ესგ–თი განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შემუშავებული აქვთ და იყენებენ სხვადასხვა სახის განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს. ეს მათ ეხმარება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში. განმავითარებელი შეფასება მასწავლებლებს ეხმარება გამოავლინონ მოსწავლის პოტენციალი და დაგეგმონ ცოდნისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისა და განვითარების გზა. ასევე, აღსანიშნავია, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ესთეტიკის კათედრაზე, ვინაიდან აქ პროცესში მეტად მნიშვნელოვანია

	მოსწავლეთა შემოქმედებითი ხედვის გათვალისწინება. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, გაკვეთილის გეგმებს, შემაჯამებელ სამუშაოებს თან ახლავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მიუხედავად ზოგიერთი შეფასების რუბრიკის შაბლონურობისა, მაინც იკვეთება მასწავლებელთა ძალისხმევა, შეადგინონ კონკრეტული მიზნების მისაღწევად განმავითარებელი და მიღებული შედეგების განმსაზღვრელი შფასების ფორმები. წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრება ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის და ობიექტურობის პრინციპებს. შეფასების რუბრიკები შემუშავებულია საგნის სტანდარტზე დაფუძნებით და უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ სტრუქტურირებულ და მკაფიო შეფასებას **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების სისტემა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი არ არის ინფორმატიკის, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ

	პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ოთხივე საგანში წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის დანახვას, სწავლების გაუმჯობესებას და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას. **რჩევა:** სასურველია დაწყებითი კლასების კათედრამ შეიმუშაოს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები. სასურველია, თუ კათედრა შეიმუშავებს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტს **.2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში (მესამედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით)
- ოქმი №1 საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სამოქმედო გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მე და საზოგადოება მე-4 კლასი
- დანართი №22 კათედრების სამოქმედო გეგმა
- **დებატების კლუბის** სამოქმედო გეგმა
- **ეკო კლუბის** სამოქმედო გეგმა
- **მხარეთმცოდნეობის** კლუბის სამუშაო გეგმა
- **სამოქალაქო კლუბ** „ორიენტირის“ სამოქმედო გეგმა
- **პროექტი** „შევისწავლოთ მშობლიური მხარე სამეგრელო“
- **პროექტი** „ფინანსური განათლება“
- **პროექტი** „Voice 404”
- **პროექტი** „რა არის გმირობა,ვინ არიან გმირები“
- **პროექტი** „შავი ზღვა ჩვენი პასუხისმგებლობა“
- დანართი №23 კომპლექსური დავალებები
- დანართი №25 მასწავლებლების ინდივიდუალური ანგარიშები
- დანართი N1--სასკოლო სასწავლო გეგმა
- დანართი N38 -პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2 2025-2026.
- დანართი N13- ვერიფიკაციის მექანიზმები
- დანართი N18 - პედ საბჭოს ოქმი N4 შეფასების კომპონენტებთან დაკავშირებით
- დანართი N42--ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფი
- დანართი N40 -- კულიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ

- საათობრივი ბადე I სემესტრი 2025-2026 სასწ წელი
- დანართი N68 --შინაგანაწესი
- კომპლექსური დავალებები დაწყებით საფეხურზე
- მე და საზოგადოება მე–3 კლასი. ჩემი ოჯახის ტრადიციები
- ფოტო კოლაჟი - რელიგიური დღესასწაულები ჩემს ოჯახში
- მე და საზოგადოება მე–3 კლასი. ანიმაცია სკოლაში ქცევის წესებთან დაკავშირებით
- მე და საზოგადოება მე–4 კლასი. საინფორმაციო პოსტერი/ბროშურა, სადაც ისაუბრებ საყვარელი წიგნის შესახებ
- ჩვენი საქართველო მე–5 კლასი: ქართლი. საინფორმაციო ბუკლეტის შექმნა ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის ხელმისაწვდომობაზე.
- ჩვენი საქართველო მე–6 კლასი: პოსტერი: კულტურის ძეგლები აღმოსავლეთ საქართელოს მთიანეთში
- კომპლექსური დავალებები საბაზო საფეხურზე
- გეოგრაფია: ინფოგრაფიკის სახით წარმოადგინონ ინფორმაცია პანდემიის პერიოდში მსოფლიო მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლებისცვლილების შესახებ
- ისტორია. პროექტი თემაზე: დავით IV აღმაშენებლის ტრიუმფალური გამარჯვებები
- მოქალაქეობა. სტატია(მაქსიმუმ 200 სიტყვა) პოლიტიკურ იდეოლოგიაზე
- კომპლექსური დავალებები საშუალო საფეხურზე
- გეოგრაფია: ბლოგი- საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად,მთის მყინვარების დნობასა და ადამიანის საქმიანობას შორის ურთიერთკავშირზე.
- ისტორია : ისტორიული თხზულების მომზადება ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ
- მოქალაქეობა: შექმენი პრესრელიზი, სოციალური საწარმოს საქმიანობის შესახებ
- კურიკულუმები ხელოვნებასა და მუსიკაში;
- შეფასების რუბრიკები ესთეტიკურ აღზრდაში;
- ესთეტიკურ აღზრდაში შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები/შეფასება/ანალიზი;
- ესთეტიკურ აღზრდაში შემოქმედებითი დავალებების ამსახველი მასალა;
- ესთეტიკური აღზრდის კათედრის სხდომის ოქმი;
- ესთეტიკური აღზრდის კათედრის ანგარიში;

სამივე საფეხურის კურიკულუმები ქართულ ენასა და ლიტერატურაში

შემოქმედებითი ბუნების(კომპლექსური) დავალების ნიმუშები

- სახელმწიფო ენის კათედრის სხდომის ოქმები
- ლიტერატურული კლუბის მუშაობის დამადასტურებელი მასალები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები(დაწყებითი, საბაზო, საშუალო)
- კათედრის სხდომის ოქმები
- დიაგნოსტიკური სამუშაოს ანალიზის ფორმები
- 2 -6 კლ.ისტ,კურიკულუმი შეფ.რუბრიკით
- .ი.ს.გ.(ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის (ქიმია) დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა სასწავლო პროცესს გეგმავს ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. პედაგოგები სწავლების დაგეგმვისას ეყრდნობიან კურიკულუმში მოცემულ თემატიკას, შემაჯამებელი დავალებების იდეებს, სამიზნე ცნებებსა და სასწავლო მიზნებს. თითოეული სასწავლო ერთეული წარიმართება კურიკულუმში ჩამოყალიბებული ლოგიკით, რაც უზრუნველყოფს სწავლის თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას. სკოლაში არსებული კურიკულუმები არა მხოლოდ შესაბამისობაშია სწავლების პრაქტიკასთან, არამედ მისი ძირითადი საყრდენია. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის მიმართულებით შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები, სადაც გაწერილია სავალდებულო თემები, კონტექსტ მაგალითები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, რესურსები და შემოქმედებითი დავალებები. გაწერილი კურიკულუმები რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესის წარმართვისას. ინტერვიუზე მასწავლებლებმა ისაუბრეს კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებების მიმდინარეობის პროცესზე. გარდა ამისა,

	მოსწავლეები ასრულებენ მრავალფეროვან შემოქმედებით დავალებებს, მინი პროექტებს, უტარდებათ გასვლითი გაკვეთილები. წარმოდგენილია დამადასტურებელი მასალა ფოტოებისა და პრეზენტაციების სახით. სკოლაში ხორციელდება ასევე ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები. მოსწავლეთა ნამუშევრები. ეწყობა გამოფენები. ჩართული არიან სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში სხვადასხვა სახით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შემოქმედებითი დავალებების ბარათებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრის მიერ მოწოდებული მასალის (სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, შემოქმედებითი დავალებების ბარათები, და მათი განხორციელების ეტაპები, კათედრის ოქმი, სამოქმედო გეგმა, შეფასების რუბრიკები, სასკოლო სასწავლო გეგმა) ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საგნის საათობრივი დატვირთვა სამივე საფეხურზე და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას წარმოდგენილი სასწავლო თემები და საკითხები დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობაშია. **2..2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას **2.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას წარმოდ- გენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია სადაც გაწერილი კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგი და შეფასები ფაზები. **2.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში, სასწავლო პროექტებში. საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები. **რჩევა**: სასურველია მოეწყოს მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანმიმდევრულობასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას. **2.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტები ,რომლებიც ითვალისწინებს ადამინური რესურსების მართვის რეგულაციებს. (სკოლის მართვის პოლიტიკა, დებულება, სამსახურებრივი ინსტრუქციები და ა.შ) სადაც აღწერილია თუ როგორ მოხდება ადამიანური და მატერიალური რესურსის მართვა შემხვედრ საჭიროებებთან მიმართებაში და ახორციელებდეს პროცესში (საჭიროების შემთხვევაში) რათა არ დაირღვეს სასწავლო პროცესის უწყვეტობა. მაგალითად: საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლის ჩანაცვლება,სასკოლო კალენდარის მართვა, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება .(თუ კალენდრის განსაზღვრული სასწავლო დღეები ირღვევა;)

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრამ ვერ წარმოადგინა

	რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების. სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული ზოგადი შეფასების სისტემის თავისებურებებზე, შეფასების ვალიდურობისა და ობიექტურობის დასაცავად კათედრაზე მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი , აგრეთვე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ოპტიმალური რაოდენობა. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება ასევე, გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები, რაზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. თუმცა ეს კრიტერიუმები არ წარმოუდგენიათ მატერიალური სახით. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეყრდნობა ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობასა და ობიექტურობას, რაც შეესაბამება ეროვნული გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. შეფასება არ განიხილება მხოლოდ როგორც მოსწავლის შედეგის ფიქსაცია, არამედ წარმოადგენს უწყვეტ, განვითარებისკენ მიმართულ პროცესს. განსაკუთრებით გამოსარჩევია, რომ სკოლაში შემუშავებული შეფასების რუბრიკები მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ აქტივობებთან, რომელსაც პედაგოგები სწავლების პროცესში იყენებენ. თითოეული რუბრიკა ეხმიანება აქტივობის შინაარსსა და მიზანს. რუბრიკებში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლეებსა და მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნონ შეფასების სტანდარტებს. თითოეული შეფასება ეფუძნება მოლოდინებს და არ არის დამოკიდებული სუბიექტურ მიდგომებზე. ვერიფიკაციის დოკუმენტის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები პერიოდულად აანალიზებენ შეფასების პრაქტიკას, რაც აძლიერებს სისტემის ობიექტურობას. **რჩევა:** სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა... ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. კათედრაზე არსებობს დიაგნოსტირების, ურთიერთდასწრების, ურთიერთშეფასებისა და

	თვითშეფასების პრაქტიკა, რასაც მოწმობს სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, სკოლას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე,სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვაგვარ შეფასების საშუალებებს. წარმოდგენილია განმავითარებელ და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მუსიკასა და ხელოვნებაში, რომლებიც გამოყენება სასწავლ პროცესში. მოსწავლეები იცნობენ შეფასების რუბრიკებს, შესაბამისად, შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე. შესაფასებელი დავალებებები ფორმულირებულია გასაგებად. გადმოგზავნილია ასევე შემაჯამებელი დავალებები თავისი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც ასევე, ვალიდურია. სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი და მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ ვერიფიკაციის პროცესში. წარმოდგენილია ვერიფიკაციის პროცესში მასწავლებელთა ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. **2.2.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თვითშეფასების ფორმები, შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუშები ასევე სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი ადასტურებს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო. შეფასების მრავალფეროვანი ფორმები ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე მშობლებისთვის, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და წინასწარ ინფორმირებულობას. **რჩევა:** სკოლაში არსებობს კონკრეტული შემოქმედებითი დავალებებისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმების შექმნის საუკეთესო პრაქტიკა, სასურველია, ამ პრაქტიკის გათვალისწინებით, ყველა სამუშაო ფასდებოდეს არა ზოგადი, არამედ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკებით. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია ადასტირებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოყენებულია საგნის სტანდატრზე დაფუძნებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები რაც უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ მკაფიო შეფასებას.

	2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გადმოგზავნილი აქვთ შეფასების რუბრიკები. მათი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან. ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა წარმატებისთვის. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ვერიფიკაციის ამოცანებია: ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან; ბ) მოსწავლის მიღწევების ანალიზი; გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. სწავლის პროცესი ფასდება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით. მშობელს მოსწავლის შეფასება რეგულარულად ეცნობება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. მოსწავლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციას სკოლა ახორციელებს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტით, პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციით. სკოლამ წარმოადგინა ვერიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. შესაბამისად სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდენილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა აანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

კანონდებლობის წესის დაცვით შენახულია მოსწავლის პირადი საქმეები. სკოლაში კათედრებზე შენახულია მოსწავლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული შემაჯამებელი/შემოქმედებითი დავალებები. დირექტორის მოადგილეებთან ინახება მასწავლებლების მიერ თითოეულ მოსწავლესთან მიღწეული შედეგების ანალიზი. სკოლა იცავს დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ რეგულაციებს.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის*კომპლექსური დავალებების მაგალითები დაწყებით კათედრაზე.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმები
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები
- სადამრიგებლო პროგრამები და პორტფოლიოები
- კომპლექსური დავალებების ბარათები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- კომპლექსური დავალების შეფასების ნიმუშები
- განმავითარებელი კომენტარების ნიმუშები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ვერიფიკაციის მექანიზმი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული სახელმძღვანელო ან შეთანხმებული საქართველოს განათლების,მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. ნაკლებადაა გამოყენებული სხვა დამხმარე რესურსები, არ არსებობს ბაზა საბუნებისმეტყველო აქტივობების განხორციელებისათვის. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს: „კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში“. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები), ასევე დამხმარე რესურსები. მასწავლებლები გეგმავენ და ახორციელებენ სწავლა-სწავლების პროცესს იმგვარად, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა ფორმატისა და ტიპის რესურსების გამოყენებაში. გამოიყენება ვიზუალური, აუდიო და ციფრული მასალები, რაც ხელს უწყობს თემების უკეთ აღქმასა და მოტივაციის ზრდას. რესურსების შერჩევა და გამოყენება მიზანმიმართული და არგუმენტირებულია, ემთხვევა გაკვეთილის მიზნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს. სკოლაში ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა და სხვა მასალები, რომლებიც ემსახურება ცოდნის გაღრმავებას. სასწავლო რესურსების გამოყენება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე კლასგარეშე აქტივობების დროს. **რჩევა:** სასურველია, რესურსების შერჩევისას სკოლამ გაითვალისწინოს ცალკეული მოსწავლის ინდივიდუალური სპეციფიკა და მეტად მრავალფეროვანი დამატებითი მასალა შესთავაზოს მათ. სხვადასხვა თემების განხილვისას შეიძლება კიდევ მეტი ციფრული თუ სხვა მატერიალური რესურსის შეთავაზება, რაც სწავლის პროცესს მეტად საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის.

	2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ამასთან აქტიურად იყენებს დამხმარე სახელმძღვანელოებს, თვალსაჩინოებებს, აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი, კომპიუტერები და ინტერნეტთან წვდომა სხვადასხვა ელექტრონული ბმულების, აუდიო თუ ვიდეო მასალის გამოსაყენებლად. შექმნილია ბევრი რესურსი მოსწავლეების მიერ. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში თემების შესაბამისად გაწერილია და გამოიყენება ძირითადი სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით. კათედრაზე ხდება იმ დამატებითი რესურსების შერჩევა, რასაც გამოიყენებენ სასწავლო პროცესში. მასწავლებლები დამხმარე რესურსის სახით იყენებენ ელექტრონულ რესურსებსაც. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებულად მუსიკის გაკვეთილების დროს, თემის შესაბამისად იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ რესურსს, როგორცაა: მოსასმენი მასალა, ინტერნეტრესურსები, ასევე ტელესკოლის ჩანაწერები. **რჩევა:** დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ხშირ შემთხვევაში რესურსებში მითითებულია მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელო და ავტორი. კარგი იქნება, რომ აისახოს ის დამხმარე ელექტრონული რესურსები, რაც რეალურად გამოიყენება **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელომძღვანელოებს იყენებს სკოლა, დანართის სახით გადმოგზავნილია,რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. წლის დასაწყისში ძირითადი და დამატებითი რესურსები დამტკიცებულია კათედრის სხდომაზე. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმების ჩარჩოს სათანადო ველში იყოს მითითებული საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები და არა ცალკე დოკუმენტის სახით, ამასთანავე,

	კურიკულუმებში მინიშნებული ძირითადი სახელმძღვანელოები ემთხვეოდეს ჩამონათვალში დასახელებულ სასწავლო რესურსებს. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	არსებულ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ მრავალფეროვანი რესურსები აქვთ წარმოდგენილი, რომლებიც შესაბამისობაში მოდის არსებულ თემებსა და საკითხებთან. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების დროს მასწავლებლები, იყენებენ იმ რესურსებს, რომლებიც კურიკულუმშია წარმოდგენილი, როგორც ძირითადს (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამხმარეს (მაგ. სამუშაო ფურცლები, ვიდეოები, ციფრული პლატფორმები). ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ სასწავლო მიზნებს. **რჩევა:** *სასურველია, კურიკულუმებს დაამატონ რესურსები და გადმოგზავნილ დოკუმენტში გაასწორონ ტექნიკური ხარვეზი ძირითად და დამხმარე რესურსების ჩამონათვალთან დაკავშირებით მათემატიკასა და ქართულში.* **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. რესურსების ვალიდაციის ოქმი კათედრაზე არ არის. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. რესურსების ვალიდაციის ოქმი კათედრაზე არ არის. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე დამატებითი რესურსების შერჩევა ხდება კათედრაში შემავალი პედაგოგების ურთიერთშეთანხმებით და ამ შერჩეული დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრის სხდომაზე. კურიკულუმებში გარდა ძირითადი რესურსისა, თემების შესაბამისად გაწერილია დამატებითი დამხმარე რესურსებიც, მათ შორის ელექტრონულიც. ელექტრონული რესურსები მიწოდებული აქვთ სამინისტროს მიერ და იგულისხმება, რომ ვალიდურია. ასევე, იყენებენ სხვა ინტერნეტრესურსებსა და ტელესკოლის ჩანაწერებს. **რჩევა:**სასურველია, სკოლას შემუშავებული ჰქონდეს დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი, სადაც კონკრეტულად განისაზღვრება ვის მიერ და როგორ უნდა განხორციელდეს დამხმარე რესურსების ვალიდაცია. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	ახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება სახელმწიფო ენის შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც. **რჩევა:**კურიკულუმებში მინიშნებული ძირითადი სახელმძღვანელოები, სასურველია, ემთხვეოდეს კათედრის მიერ წარმოდგენილ ჩამონათვალში დასახელებულ სასწავლო რესურსებს. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ნათელია, რომ სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა ჩართულობას რესურსების

	შერჩევასა და შეფასებაში, რესურსების პრაქტიკულ ტესტირებას სასწავლო პროცესში, რეგულარულ მონიტორინგსა და განახლებას. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს.ძირითადი და დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის სამუშაო შეხვედრაზე წლის დასაწყისში. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია დასტურდება დაწყებითი კათედრის ოქმებში **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში გამოყოფილია საბუნებისმეტრუველო ლაბორატორიისთვის ოთახი, რომელიც ვიზიტის დროს არ იყო აღჭურვილი საჭირო ინვენტარით და აღჭურვილობით, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სწავლის პროცესში. **აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას იზირებს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმით. სკოლას ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრულია აქვს პერიოდი 2027 წლის მარტამდე. შესაბამისად იცვლება ინდიკატორის შეფასება** **2.2.2. 3 ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებული საბაზო და საშუალო საფეხურებზე.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს: „კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“. სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო მატერიალური ბაზით, რაც მოიცავს როგორც საბაზისო, ისე საგნობრივი და ტექნოლოგიური რესურსებს. სასწავლო სივრცეები (დაფები, მერხები, სკამები, ტექნიკა) ადეკვატურად პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობას, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და სწავლების ეფექტიანობას. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება ზღვრულ ნიშნულს, რაც შესაძლებელს ხდის ინდივიდუალური მიდგომის განხორციელებისა. სკოლა უზრუნველყოფს აუდიტორიების მორგებულობას როგორც ასაკობრივ, ასევე საგნობრივ მოთხოვნებზე. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, გაამრავალფეროვნონ გაკვეთილები ვიზუალური, პრაქტიკული და ციფრული რესურსების გამოყენებით. რესურსების განაწილება ხდება კურიკულუმის შესაბამისად მოსწავლეთა საჭროებების გათვალისწინებით. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი : კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორი, პრინტერი, გამართული ინტერნეტი და რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა საკმარისია კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა რესურსი, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული. მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია ყველა მასალა: გრიფირებული სახელმძღვანელოები, მოსასმენი მასალები. ვინაიდან ხშირ შემთხვევებში მასწავლებლები იყენებენ დამხმარე ელექტრონულ რესურსებს, მათ აქვთ საშუალება გამოიყენონ სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, რომელთა რაოდენობა შეესაბამება ნორმებს და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით რასაც ადასტურებს წარმოდგენილი ფოტო მასალა. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი სრულყოფილია და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას და განსაზღვრული შედეგების მიღწევას. მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას. სკოლას აქვს ახლად რეაბილიტირებული სპორტული დარბაზი, აღჭურვილი შესაბამისი სპორტული ინვენტარით, აგრეთვე, სპორტული მოედნისთვის ეზოში ფართი, სპორტული მოედნის მოწყობა იგეგმება ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

დასკვნის პროექტი თანახმად, eSchool ბაზა მონაცემებით სკოლაში დასაქმებულია 41 მასწავლებელია: უფროსი-35; წამყვანი-4. მასწავლებლობის მაძიებელი-1 და სპეც. მასწავლებლი-1. მასწავლებლების უმეტესობა შერჩეული არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით.

დაწყებით საფეხურზე, I-IV კლასებში ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს ასწავლის 4 მასწავლებელი, რომლებსაც არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია. **აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოდგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია ხარვეზის გამოსწორების აქტივობა (ვაკანსიის გამოხცადება) და ხარვეზის გამოსწორების პერიოდი 2026 წლის 1 სექტემბერი. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ცვლის ინდიკატორის შეფასებას**

ინდიკატორი 2.2.2.4 მეტწილად დაკმაყოფილებული დაწყებით საფეხურზე;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში (მესამიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით)

- ოქმი №1 საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სამოქმედო გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მე და საზოგადოება მე-4 კლასი
- დანართი №22 კათედრების სამოქმედო გეგმა
- **დებატების კლუბის** სამოქმედო გეგმა
- **ეკო კლუბის** სამოქმედო გეგმა
- **მხარეთმცოდნეობის** კლუბის სამუშაო გეგმა
- **სამოქალაქო კლუბ** „ორიენტირის“ სამოქმედო გეგმა
- **პროექტი** „შევისწავლოთ მშობლიური მხარე სამეგრელო“
- **პროექტი** „ფინანსური განათლება“
- **პროექტი** „Voice 404”
- **პროექტი** „რა არის გმირობა,ვინ არიან გმირები“
- **პროექტი** „შავი ზღვა ჩვენი პასუხისმგებლობა“
- დანართი №23 კომპლექსური დავალებები
- დანართი №25 მასწავლებლების ინდივიდუალური ანგარიშები
- დანართი N1--სასკოლო სასწავლო გეგმა
- დანართი N38 -პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2 2025-2026.
- დანართი N13- ვერიფიკაციის მექანიზმები
- დანართი N18 - პედ საბჭოს ოქმი N4 შეფასების კომპინენტებთან დაკავშირებით
- დანართი N42--ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფი
- დანართი N40 -- კულიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ
- საათობრივი ბადე I სემესტრი 2025-2026 სასწ წელი
- დანართი N68 --შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით:1.მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; 2.სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); 3.სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი

პროცესების გაძლიერებისთვის).სამომავლოდ სკოლა გეგმავს დახვეწოს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება კვლევა - ანალიზზე დაფუძნებით, რომელშიც ჩართული იქნებიან სასკოლო საზოგადოების წევრები.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკაყოფილებულია

2.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს, თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კათედრებმა წარმოადგინეს მონიტორინგის ფორმები , რეფლექსიისა და თვითშეფასების ფორმები,რომლებშიც იკვეთება პრობლემის აღმოჩენა და გადაჭრის გზების დასახვა.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკაყოფილებულია

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით,მონიტორინგი და შეფასება წარიმართება სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების მიზნით. სკოლის მასწავლებლები მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა მოხდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი, რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა აცხადებს მზაობას, მონიტორინგი და შეფასება გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდასაჭერად. სკოლაში დანერგილია კრიტიკული მეგობრის პრაქტიკა, იკვეთება პედაგოგთა ღიაობა და მზაობა მიიღონ რჩევები და მითითებები მათივე პედაგოგიური პრაქტიკის დახვეწის მიზნით.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურუკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრების ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, თუ როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესი გეგმის შესაბამისად და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სასწავლო პროცესის /კურიკულუმის შეფასებას ახორციელებს დირექცია, საგნობრივი კათედრები, ხარისხის მართვის ჯგუფი, სკოლის მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები. დანერგილია გაკვეთილზე ურთიერთდასწრებისა და ურთიერთდაკვირვების პრაქტიკა. პედაგოგები აკეთებენ თვითშეფასებას და სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ ერთმანეთის შედეგებს. შემუშავებულია კონკრეტული რუბრიკები. დროგამოშვებით კეთდება მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა.ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს სამომავლოდ ელექტრონული კითხვარების დამზადებას, რაც მეტი ობიექტურობისა და მონაცემების შენახვსი შესაძელობლობას მისცემს.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლაში დანერგილია მშობლებთან შეხვედრებისა და საჭიროებების განხილვის პრაქტიკა. მსგავს შეხვედრებზე აქცენტი კეთდება ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებზე,როგორიცაა სასკოლო სივრცე, გარემო, დამოკიდებულებები.ამ ეტაპზე სკოლის შედეგებისა და სასწავლო პროცესების შეფასების მონაცემები არის დამრიგებელთა და პედაგოგთა ჩანაწერები, თუმცა სამომავლოდ იგეგმება კითხვარების გაკეთება, რომელშიც ჩაერთვება სასკოლო საზოგადეობა და თემი, რათა შეფასებისას გათვალისწინებული იქნას ყველა კონტექსი და მიმართულება.

შეფასება ხორცილდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სრული სურათის მისაღებად მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს როგორც სასკოლო, ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), შესაბამისად ხდება მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

ამ ეტაპისათვის სკოლა სასწავლო პროცესების შეფასების ზეპირი გამოგკითხვის, გასაუბრებების-ინტერვიურების მეთოდს იყენებს. პედაგოგებს აქვთ პირად დღიურებში ჩანაწერები,რომელთა ანალიზსაც იყენებენ წლის ბოლო ანგარიშებში. კლასის საათებზე ხდება

მოსწავლეთა გამოკითხვა,მათი საჭიროებებისა და ინტერესების დადგენა, მშობლებთან შეხვედრებზე განიხილება პრობლემური საკითხები. ხდება აღნიშნული მონაცემების გაანალიზება.სკოლა სამომავლოდ გეგმავს სასწავლო პროცესის შეფასებას და მონაცემთა შეგროვების პროცესის დახვეწას.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები და მონაცემები, როგორებიცაა : მოსწავლეთა ინტერვიურების შედეგები, მშობელთა გამოკითხვის შედეგები, კოლეგების ურთიერთდასწრებისა და საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვების შედეგები,რასაც სასწავლო წლის ბოლოს განიხილავს სკოლის ადმინისტრაცია და ანალიზისას გამოკვეთილ საჭიროებებს გამოიყენებს მომავალი სასწავლო წლის დასაგეგმად.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურუკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვერიფიკაციის დოკუმენტები წარმოდგენილი ყველა საფეხურზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა)
- კათედრების სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს შიდა მონიტორინგის სისტემას, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპიან ციკლს (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე). განვითარების ეტაპი გულისხმობს ნაკლოვანებების მიზეზების განსაზღვრას და მათი აღმოფხვრისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დირექციის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე, მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, გაკვეთილზე დასწრების გზით. მათი მხრიდან მასწავლებლების მიმართ გაცემული განმავითარებელი უკუკავშირი, ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას სასწავლო პროცესის საჭიროებებზე, რომელიც გავლენას ახდენს კურიკულუმის შემუშავების პროცესზე და გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრის დონეზე. მასწავლებლები, კათედრის სხდომაზე განიხილავენ ურთიერთდასწრების გაკვეთილებს. ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, რომელიც ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერისთვის. სკოლაში, კათედრების დონეზე ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის დროსაც საგნობრივი ჯგუფების მიხედვით გაანალიზდება კურიკულუმის დანერგვის პროცესი და გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებაში მასწავლებელი შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

ახალი სასწავლო წლისთვის, კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო კურიკულ უმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. კათედრების ფარგლებში განიხილება მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მიგნებები: კერძოდ,

შემოქმედებითი პროდუქრის შექმნის მიზნით დაგეგმილი აქტივობებიდან რომელმა გაამართლა/არ გაამართლა, რა იყო ამის მიზეზი. მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას წინა წლის კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურუკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: **მაკა ტუკვაძე** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

Maka Tukvadze

Digitally signed by Maka Tukvadze
Date: 2026.05.11

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი -----თამთა კვარაცხელია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი --- ციცინო მექოშვილი

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი --- ციალა ჩიტია

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი -----თეა მამულია

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი --- ქეთევან პარუნაშვილი

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი --- მაია სიხარულიძე

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი ---- ია სეხნიაშვილი

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი------- მარინე ახალაია

სპორტის საგნობრივი ექსპერტი -------გიორგი ბერიძე



ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი ---ნათია კოხოძე-

თარიღ: 11/05/2026